645
198

9 ISSN 0321-1500
1987

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი



სალამი, სკოლავ!

ვ. მესხიძის ფოტო

„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

(«ЖЕНЩИНА ГРУЗИИ»)

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**ნათელა ვასაძე,**
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

# ႣႤႣႭႳႰႨ ႢႳႪႨႧႠ ႣႠ ႲႩႡႨႪႨ ႾႤႪႤႡႨႧ

შვილების კარგად აღმზრდელი დედა მიცვნია ღმერთადო, ბრძანებდა ვაჟა.

მერედა რამდენი მამულიშვილი, ღირსეული, სანაქებო ადამიანი აღუზრდია ქვეყნისათვის თავადაც ერის სულიერ მოძღვარს, მომავალი თაობის ერთგულ, განუყრელ, უღალატო მეგობარს — მოზარდთა სულიერ აღმზრდელს, მასწავლებელს, ღმერთამდე ამაღლებულს.

სწორედ რომ რუდუნებით, მშობლიური გრძნობებითა და თავდავიწყებით იღვწიან ჩვენი რესპუბლიკის მასწავლებელი ქალები ქვეყნის მომავლის მშენებელთა სწავლებისა და აღზრდისათვის. განუზომელი, შეუფასებელია მათი ამაგი ამ საქვეყნო, საშვილიშვილო საქმეში.

რომელიმე ხალხის, რომელიმე ტომის ასაწონად და დასაფასებლად სრულიად საკმარისია მათი ქალების გაცნობაო, ამბობდა აკაკი წერეთელი. ქვეყნის „ასაწონი და დასაფასებელი“ საქმეების კეთების კეთილი ტრადიციები კარგა ხანია დაიმკვიდრეს ჩვენი რესპუბლიკის ქალებმა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

მსოფლიოს ქალთა კონგრესმა, რომელიც მოსკოვში ჩატარდა, კიდევ უფრო აამაღლა მშვიდობისათვის მებრძოლი ქალის, შვილების სიცოცხლის გადარჩენისა და მათი ბედნიერებისათვის მებრძოლი დედის ავტორიტეტი.

სწორედ რომ სიმბოლურია — პირველ სექტემბერს ცოდნის დღის პირველი დღესასწაული მშვიდობას მიეძღვნა. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 89 361 მასწავლებელმა და 20450 აღმზრდელმა მოსწავლეებს ამაღელვებლად მოუთხრეს უბიროთვო მსოფლიოსათვის ჩვენი პარტიისა და მთავრობის, საბჭოთა ხალხის დაუცხრომელ ბრძოლაზე, ადამიანის კეთილდღეობისათვის უდიდეს ძალისხმევაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივლისის პლენუმმა საბჭოთა მასწავლებელს საზოგადოების ნდობით აღჭურვილი პირი უწოდა. ჩვენი რესპუბლიკის 3832 სკოლაში, განათლების სისტემის 1585 საბავშვო ბაღსა და 133 კლასგარეშე დაწესებულებაში ათიათასობით ქალი მასწავლებელი თუ აღმზრდელი მუშაობს.

ქვეყნის გარდაქმნისა და დაჩქარების შეუქცევად პროცესში განუზომლად იზრდება სახალხო განათლების სისტემის თითოეული მუშაკის, თითოეული მასწავლებლის როლი და პასუხისმგებლობა. განსაკუთრებული მისია დაეკისრა ქალს, როგორც მასწავლებელსა და როგორც დედას. ჩვენი შვილების სწავლებისა და აღზრდის ხარისხის გაუმჯობესება ხომ ბევრად არის მათზე დამოკიდებული. ეს ხომ მათი სისხლხორცეული, დედობრივი ღვიძლი საქმეც არის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან ლენინური ლოზუნგი: „ყველაფერი საუკეთესო — ბავშვებს!“ არ მოხსნილა და არც მოიხსნება დღის წესრიგიდან. ქვეყნის მომავალზე — ბავშვებზე ზრუნვა საბჭოური ცხოვრების უმთავრესი პრინციპთაგანია.

არნახულად გაფართოვდა და კეთილმოეწყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ქსელი. საბავშვო ბაღმა დიდი ხანია, რაც დაკარგა სამუშაოზე მყოფი მშობლების შვილებზე მხოლოდ მეთვალყურის ფუნქცია. ახლა სკოლამდელ დაწესებულებებს, გარდა ტრადიციული აღმზრდელობითისა, სწავლების ფუნქციაც დაეკისრა, რაც სათანადოდაა ჩამოყალიბებული სკოლამდელთა სწავლებისა და აღზრდის ახალ ტიპურ პროგრამაში.

რესპუბლიკაში დღემდე არსებულ ყველა უწყების 2842 სკოლამდელ დაწესებულებას ახალი სასწავლო წლიდან შეემატა კიდევ 62, რის შედეგადაც დამატებით 8400 ბავშვი ეზიარება საბავშვო ბაღში საზოგადოებრივი აღზრდის დიდ სიკეთეს, მთლიანად კი 206620 ბავშვი იქნება დიდი ყურადღებითა და ზრუნვით გარემოსილი. ამ დიდ, ინტერნაციონალურ ოჯახში უნდა აღინიშნოს: ამ ბავშვების 70 პროცენტზე მეტი იზრდება თანამედროვე პროექტების მიხედვით აგებულ ფართო, ნათელ და კეთილმოწყობილ შენობებში, სადაც ყოველგვარი პირობაა შექმნილი მათი ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის.

ახალი სასწავლო წლიდან თვისებრივად განსხვავებული სიახლეების მოწმენი გახდნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა აღსაზრდელები და მათი მშობლები. კიდევ უფრო გაფართოვდა სკოლამდელ დაწესებულებებში ექვსწლიან ბავშვთა პირველი კლასების ქსელი. ახალი სასწავლო წლიდან მარტო განათლების სამინისტროს სისტემის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გაიხსნა 152 პირველი კლასი, 3800 ბავშვის სწავლებასა და აღზრდას



საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძღვებიან როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები, ასევე — სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაკები.

გარდაქმნამ ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა. მისი საჭიროება უპირველესად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას დაეტყო და ეს დიდი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე სკოლის რეფორმის განხორციელებით დაიწყო კიდეც.

რესპუბლიკის მასწავლებელთა მრავალრიცხოვანი არმია მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დაუღალავად იღვწის სკპ 27-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. წლეულს, აპრილში გამართულმა რესპუბლიკის მასწავლებელთა მე-6 ყრილობამ სიღრმისეულად გააანალიზა და შეაჯამა განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობა, დასახა გარდაქმნის, ახლებურად მუშაობის, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა პრაქტიკული რეალიზაციის დაჩქარების გზები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს: სასწავლო მუშაობის სტრუქტურის შეცვლამ, სემესტრულის ნაცვლად სწავლების მეოთხედური სისტემის შემოღებამ გაამართლა. ამაღლდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა შინაგანი მობილიზების დონე, სწავლისა და სწავლებისადმი ერთობლივი პასუხისმგებლობა. პედაგოგთა სრული მხარდაჭერით, საზოგადოებრიობის მოწონებით სარგებლობს კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები, რომელიც ცოდნის განმტკიცების ეფექტიან საშუალებად იქცა.

სიახლეებია სასწავლო გეგმებშიც. უკვე გარკვეული გამოცდილება დააგროვა სკოლამ ისეთი ახალი დისციპლინების სწავლებაში, როგორიცაა: გარესამყაროს გაცნობა, საოჯახო ცხოვრების ეთიკა და ფსიქოლოგია, ინფორმატიკა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები. გარკვეული ღონისძიებები ხორციელდება მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების გასაუმჯობესებლად. მზად არის ქართული ენისა და ლიტერატურის ახალი სასწავლო პროგრამის პროექტი, რომელიც საყოველთაო განხილვის შემდეგ შემოსული შენიშვნების საფუძველზე კიდევ უფრო დაიხვეწა. იზრდება რუსული ენის გაღრმავებული სწავლების ქსელი. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს ისტორიის სწავლების ორგანიზაციის სრულყოფისათვის. სკოლები მომავალ წელს მიიღებენ საქართველოს ისტორიის ახალ პროგრამას და ასევე ახალი სახელმძღვანელოს პირველ ნაწილს, რომელიც სრულიად ახლებურად გადამუშავდა და განახლდა, შეივსო მრავალფეროვანი ფერადი ილუსტრაციებით. გაიზარდა სასწავლო გეგმებში საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიისათვის გამოყოფილი საათების რაოდენობა.

გარკვეული ღონისძიებები განხორციელდება სწავლების შინაარსის სრულყოფის მიზნითაც. ახალი სასწავლო წლიდან საფუძველი ჩაეყრება საგნის მასწავლებელთა შეხვედრების ახალ ტრადიციას. სექტემბრიდან დეკემბრამდე გაიმართება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები თითქმის ყველა ძირითად საგანში....

ახალი სასწავლო წლისათვის მეოთხეკლასელებს სიხარულით ევსებათ გულები რუსული ენისა და ჩვენი სამშობლოს მატიანეს ახალი სახელმძღვანელოების მიღებით.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის მოთხოვნათა რეალიზაციის პროცესში მწარმოებლური შრომა სულ უფრო ფართოდ იმკვიდრებს ადგილს სკოლის ცხოვრებაში, სწავლება მეტად დაუახლოვდა ცხოვრებას, უკეთ უპასუხებს მწარმოებლური შრომისადმი მოზარდი თაობის მომზადების სადღეისო ამოცანებს.

ახალი სასწავლო წლისათვის შემუშავებულია შრომითი სწავლების ახალი პროგრამები I-IX კლასებისათვის. მე-8 კლასში შემოღებული იქნა ახალი კურსის „წარმოების საფუძვლები, პროფესიის არჩევა“ — სწავლება. შეიქმნა პროფორიენტაციის პირველი ცენტრი ქ. თბილისში. ახალ სასწავლო წელს პირველად მოეწყობა მოსწავლეთა სამუშაო ადგილების ატესტაციაც, რომლის შედეგებითაც განისაზღვრება მოსწავლეთა შრომითი სწავლების გაუმჯობესების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და სათანადო აღჭურვილობით უზრუნველყოფის პერსპექტივები. საამაყო და გულგასახარია: წლევანდელი ზაფხულის შრომითი მეოთხედის მონაწილე 191 ათასამდე მოსწავლემ აქტიურად იშრომა სახალხო მეურნეობის 20-ზე მეტ სფეროში. მოსწავლეთა ძალებით შესრულდა 80 მილიონამდე მანეთის ღირებულების სამუშაო და, რაც ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია, მოზარდმა თაობამ კიდევ ერთხელ მიიღო შრომითი წრთობის ნამდვილი გაკვეთილები.

უკვე ორი წელია, რაც მაღალი კონცენტრის კლასებში შემოღებულია ახალი კურსი „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები“. გამომცემლობა „განათლება“ მოსწავლე-ახალგაზრდობას ქართველი ავტორების ამ ახალი ორიგინალური სახელმძღვანელოს მეორე ნაწილსაც დაუსტამბავს. სასკოლო კომპიუტერული ტექნიკით ამჟამად აღჭურვილია მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური და ზონალური ინსტიტუტები, საყრდენი სკოლები.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების ქსელის მოსაწესრიგებლად. ყოველივე ამასთან ახლდა ცვლილებები საღამოს სკოლების მართვის ორგანიზაციაში. ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდანვე დიდი და შრომატევადი სამუშაოა განსაკუთრებით სწავლების ხარისხის ამაღლების, საკადრო მუშაობის მოწესრიგების საქმეში.

სადღეისო პრობლემების ახლებური, ნოვატორული გადაწყვეტისათვის აქტიურად გამოვიყენებთ წარსულის საუკეთესო გამოცდილებას, საბჭოთა სკოლის მშენებლობის პრაქტიკას, სახალხო განათლების ვეტერანთა მდიდარ თეორიულსა და პრაქტიკულ ცოდნას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა ვეტერანთა საბჭო რესპუბლიკის სახალხო განათლების დარგის ღვაწლმოსილ მუშაკთა და პედაგოგ-მეცნიერთა მონაწილეობით. ეჭვსგარეშეა, რომ იგი დიდ სამსახურს გაუწევს სახალხო განათლების დარგის მუშაკებს წარსულის საუკეთესო გამოცდილების შესწავლისა და მისდამი შემოქმედებითი მიდგომის საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის, სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნის დაჩქარების ეფექტური ფორმებისა და მეთოდების შემუშავებასა და გამოყენებაში.

განზრახული გვაქვს ახალი სასწავლო წლის დასაწყისშივე განათლების სამინისტროსთან შევქმნათ საზოგადოებრივი აზრის საბჭო, რომელიც თავის რიგებში რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილს გააერთიანებს. თავისი მრავალფეროვანი საქმიანობითა და მუშაობით ეს საბჭო სათანადო დახმარებას გაუწევს სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებს, პედაგოგ-მასწავლებლებს, საქმიანი ურთიერთ კონტაქტების განმტკიცებას, საერთო ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

პარტიისა და მთავრობის მიერ სკოლის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა ბევრად არის დამოკიდებული მშობლებთან, საზოგადოებრიობასთან მჭიდრო ურთიერთკავშირზე. მშობელი მხარში უნდა ამოუდგეს სკოლას, მასწავლებელს, სკოლის სახით იგი ერთგულ მეგობარს უნდა ხედავდეს, თავისი შვილის საზოგადოების აქტიურ წევრად, კომუნიზმის მშენებელ მოქალაქედ აღზრდის, პატრიოტად, გულმხურვალე ინტერნაციონალისტად ჩამოყალიბების საქმეში. ამაში თავიანთი დროული და ავტორიტეტული სიტყვა უნდა თქვან დედებმაც.

ჩვენი რესპუბლიკის მასწავლებელი ქალები აქტიურად იღვწიან სკპ 27-ე ყრილობისა და სკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მოზარდი თაობის სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის პროცესის შემდგომი სრულყოფისათვის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა რეალიზაციისათვის.

ქალთა მსოფლიო კონგრესის მონაწილეებისადმი მისასალმებელ სიტყვაში ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა: „მოდის ახალი თაობა: მან უნდა ჩაიბაროს სოციალიზმის ესტაფეტა უფროსებისაგან და ატაროს იგი შემდგომ.“ და ქალს — ოჯახში, სკოლაში, ყველგან — უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება იმისათვის, რომ მომავალი მოქალაქე სიყრმიდანვე იზრდებოდეს თავისი ხალხისა და მისი კულტურის, სხვა ერებისა და რასების ადამიანების პატივისცემით, მათი კულტურის, ცხოვრების წესის პატივისცემის სულისკვეთებით“. ასეთი დიდმნიშვნელოვანი, პასუხსაგები ამოცანის გადაწყვეტას, მის წარმატებით განხორციელებას მთელს ჩვენს შრომასა და ძალისხმევას მოვახმართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მშვიდობის გაკვეთილი




ავამაღლოთ ჩვენი ცა და ჩვენი
მიწა,
არ დავუშვათ ქვეყნად უამინდობა,
მთელი ქვეყნის გასაგონად
შემოვძახოთ
გაუმარჯოს მეგობრობას!
მშვიდობას.

ბოლო სტრიქონს მთელი მეოთხე კლასი, ესე იგი 31 მოსწავლე ზეაწეულად, გზნებით წარმოსთქვამს. კობა, პაატა, ხათუნა, ნატო, კახაბერი, ნინო, ნათია, ვარლამ, დალი... თქვენს სიცოცხლეს, სიხარულს, მშვიდობა სჭირდება. მშვიდობა უნდა ივნისის მშვენიერ დღეს, მშვიდობას მოითხოვს თქვენი წკრიალა ხმები! და ტრადიციულად ასე იწყება სექტემბრის პირველი დღე. ასე მთავრდება სასწავლო წელიც. თქვენი ხელებით დაკრიალებულ ოთახში ისმის ლექსები, მოწოდებანი, სიმღერა, ცეკვა, ტაში. მოწვეულ სტუმრებს დიდხანს მიჰყვება თქვენი მგზნებარება, მთელს პლანეტას რომ ეყოფა თითქოს.

თვალანთებული ნანა მასწავლებელი სათითაოდ გიძახებთ დაფასთან და ყოველი თქვენგანი წერს: „ჩვენ მშვიდობა გვინდა!“ „მშვიდობა მსოფლიოს ბავშვებს!“ მერე თქვენ პასუხობთ კითხვაზე: „რა იცით ომის შესახებ?“ იცით, ბევრი რამ იცით, პაპების, უფროსების ნაამბობიდან. ბევრი მათგანი ხომ სამშობლოს დამცველთა რიგებში იდგა! შეიძლება სწორედ თქვენი სკოლიდან, 99-ე სკოლიდან წავიდა ამ რიგებში... გახარებულია ნანა მასწავლებელი. 25 წელია ემსახურება ბავშვთა აღზრდას დაწყებით კლასებში. აქ ფასდება მისი კეთილშობილი შრომა. შარშან ძველი სკოლის ადგილზე ახალთახალი შენობა წამოიმართა. სამსართულიანი, ფართო და კრიალა. თითქოს ენერგიაც გაუათკეცდა პედაგოგიურ კოლექტივს, ბავშვებს. უფრო კაშკაშით შემოიჭრა მზე მშვიდობისა ყველა მათგანის გულში. აი, სასწავლო ნაწილის გამგე ნინო მატატაშვილი ღიმილით შეჰყურებს თქვენს მიერ შესრულებულ ცეკვას: „ომი და მშვიდობა“, სიმღერებს მშვიდობაზე: — ერთურთს ხელი მეგობრულად გადავხვიოთ, დედამიწის ყველა კუთხის ბავშვებო!“

უყვარს ნანა გაფრინდაშვილს ბავშვები. და ეს ასეც უნდა იყოს. ბავშვების სიყვარულმა მიიყვანა დედით დაობლებულ თბილისურ ოჯახში,— სრულიად ახალგაზრდა პედაგოგი ჭიათურის ერთერთი სკოლისა. პირველხანს უარზე იყო. მაგრამ ობოლ, პაწაწინა ბიჭუნას რომ მოჰკრა თვალი, გული სევდით აევსო. თანხმობა თქვა ქვრივი კაცის ცოლობაზე. ასე დაწვრილშვილდა. ბიჭუნამ „დედა“ დაუძახა, გოგონა ყვავილების კონით მიეგება კიბესთან. ახლა დედა უკვე ბებია გახდა, ამავე დროს ჯარისკაცის მშობელია.

მადლობა სიყვარულის მაღალ გრძნობას. ეს სიმაღლე ასპეტაკებს ახლა მოსწავლეებსაც, აღმზრდელებსაც, ამ პატარებსაც, ბარტყებივით რომ შეჰხარიან მზეს და მშვიდობას!

**ნ. გიორგაძე**

# დარიკო მასწავლებელი

ოცდაოთხი წელია ქართული ენისა და მამულის სიყვარულს უნერგავს პატარებს კახის რაიონის სოფელ კახინგილოს სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი დარიკო ტარტარაშვილი.

პედაგოგიური ნათლობის შემდეგ სექტემბერში ოცდამეხუთედ დაირეკება საპირველსექტემბრო ზარი და დარიკო მასწავლებელი გაღიმებული შეაღებს საკლასო ოთახის კარს, სადაც სწავლის მაძიებელი გოგო-ბიჭები მოუთმენლად ელიან საყვარელ აღმზრდელს.

წარმატება ერთბაშად როდი მოდის, მას ყოველდღიური შრომა, პატარების სულიერი სამყაროს გაცნობა სჭირდება. ეს კარგად იცის დარიკო მასწავლებელმა, ამიტომაც, სანამ ასწავლიდეს, თვითონ სწავლობს, ეძებს ახალ ფორმებს, საინტერესო მასალებს, ფაქტებს, რათა თითოეული მოსწავლე გულისყურით მოეკიდოს ყოველ გაკვეთილს.

დარიკო ტარტარაშვილმა 1963 წელს დაამთავრა თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაწყებითი განათლების, პედაგოგიკისა და მეთოდიკის ფაკულტეტი. იმავე წლის სექტემბერში მუშაობა დაიწყო ზაქათალის რაიონის სკოლა-ინტერნატში მასწავლებლად. 1966 წელს სამუშაოდ გადავიდა სოფელ კახინგილოს ლენინის სახელობის ქართულ საშუალო სკოლაში.

ახლა, როცა ოც წელიწადზე მეტია პედაგოგად მუშაობს, სიმწრითა თუ სიამით ახსენდება თავისი ყოველი გამარჯვება თუ მარცხი.

დარიკო მასწავლებელი თავის დიდ მარცხად მიაჩნდა, რომელიმე მოსწავლე გაკვეთილზე მოუმზადებელი რომ მოვიდოდა.

ხალხი აფასებს თავისი შვილების აღმზრდელებს. 1982 წელს დარიკო ტარტარაშვილს უფროსი მასწავლებლის წოდება მიანიჭეს.

უფროსი მასწავლებლობა მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვს პედაგოგისაგან. ეს კარგად იცის სახელოვანმა მასწავლებელმა.

დარიკო ტარტარაშვილი საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა: აგიტატორია. დიადი დღესასწაულების, სახელოვანი იუბილეების შესახვედრად ინგილო მოსწავლეები მისი ხელმძღვანელობით ადგენენ ალბომებს, აწყობენ დილებს, ინტერნაციონალური მეგობრობის შეხვედრებს.

სკოლის დირექცია და პირველადი პარტიული ორგანიზაცია სკკპ წევრს დარიკო ტარტარაშვილს ახასიათებს როგორც მზარდ პედაგოგს, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურს, კარგი ოჯახის დედას, გაზეთ „შელადეს“ შტატგარეშე კორესპონდენტს.

მასწავლებელი მომავალ თაობას სიკეთესა და სიყვარულს ასწავლის. არასრულწლოვანთა სწორი აღზრდა ხომ ქვეყნისათვის ყველაზე დიდი სიკეთეა.

**ვ. ოქროჯანაშვილი,**
კახის რაიონული გაზეთის „შელადეს“ („ჩანჩქერი“) კორესპონდენტი.

გახსენება



# მთელი სიცოცხლის მანძილზე

„ჩვენ ბავშვობიდან მოვდივართ“ — ეგზიუპერის ეს სიტყვები და სკოლის წლების ნოსტალგია ადამიანს თან სდევს მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ბავშვობისა და მოწაფეობის მონატრების დასტური იყო სწორედ ის დღე, ამ ცოტა ხნის წინ 23-ე სკოლის დაარსების ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე ყველა სიხარულითა და სიამოვნებით რომ შევიკრიბეთ და საყვარელ მასწავლებლებთაგან კიდევ უფრო უსაყვარლეს ქეთევან ხარაძეს ვიგონებდით.

ოჯახში, სადაც აღიზარდნენ არჩილ ხარაძე — საქართველოში მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, სამაგალითო საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი და ევგენი ხარაძე — ასტრონომიული მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აღიზარდა მათი უფროსი და ქეთევან ხარაძე — ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ვისაც საქართველოში მოწინავე მასწავლებლებთაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთერთს პირველს გადაეცა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

თბილისის ქალთა მეორე გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან თავისი პედაგოგიური მოღვაწეობა განჯაში დაიწყო. ქართველები განჯაში საკმაოდ დიდი ხნის წინ დასახლდნენ და ქართველ კაცს არ ეუცხოვებოდა განჯა. განჯაში დასრულდა დიდი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის სიცოცხლე. განჯაში დაიწყო დიდი რეჟისორის სანდრო ახმეტელის შემოქმედებითი გზა. ახალგაზრდა მასწავლებელი ქეთევან ხარაძეც აქტიურად მონაწილეობდა განჯაში მცხოვრები ქართველი საზოგადოების ცხოვრებაში, ხშირად გამოდიოდა ფართო აუდიტორიის წინაშე ლექცია-მოხსენებებით და ხშირადაც თავის ჯამაგირის დიდ ნაწილს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ახმარდა. შემდგომში დიდი ხნის განმავლობაში მასწავლებლობდა თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის 23-ე საშუალო სკოლაში, სადაც დატოვა სამაგალითო პედაგოგის და თავდადებული აღმზრდელის სახელი.

გუშინდელივით გვახსოვს მისი პირველი შემოსვლა კლასში, მისი აზრიანი გახსნილი გახსნილი თვალები, როდესაც გვასწავლიდა შოთას, ილიას, აკაკის და ვაჟას.

გულში ჩაინერგეთო, — გვეტყოდა ხოლმე ქეთო მასწავლებელი, რომ ბოროტებას სიკეთით უნდა ებრძოლოთ, გულქვაობას — კეთილშობილებით, იყავით მუდამ გულმართალნი და ცხოვრება ნათელი და აზრიანი გექნებათო.

სკოლაში ხშირად გვეკითხებოდნენ: დედა რომ არ გყავდეთ, მასწავლებლებიდან ვის აირჩევდითო, როგორც წესი, ქეთო მასწავლებელს ვირჩევდით.

23-ე სკოლის საიუბილეო სხდომაზე პროფესორ ზაალ კახიანმა გულთბილად ილაპარაკა საყვარელ მასწავლებელზე — ქეთევან ხარაძეზე და თქვა, რომ მასწავლებლებიდან ახლაც ქალბატონ ქეთევანს აირჩევდა დედის მაგიერ. ტაშის გრიალი დასტური იყო იმისა, რომ დარბაზში მყოფნი ყველა ამავე აზრისანი ვიყავით.

და ახლა, მის ყოფილ მოსწავლეებს თუ გვიყვარს ერთმანეთი, და დღესაც ვაგრძელებთ ერთმანეთთან მეგობრობას, თუ რამ ძვირფასი და ადამიანური სიკეთე გაგვაჩნია, ეს ჩვენი საყვარელი ქეთო მასწავლებლის დამსახურებაა.

**სოზარ ახვლედიანი,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

# ღვაწლმოსილი დაფასება



ამას წინათ, შრომის წითელი დროშის ორდენოსან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩატარდა სამეცნიერო საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა ბიოორგანული ქიმიის კათედრის პროფესორის ქეთევან ნიკოლოზის ასულ დგებუაძის დაბადების 70 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 45 წლისთავს. სხდომას ესწრებოდნენ ინსტიტუტის მხცოვანი პროფესორები, დოცენტები, პედაგოგები, თანამშრომლები, სტუდენტები, წარმოების წამყვანი სპეციალისტები, ქალბატონი ქეთევანის ნიჭისა და უნარის თაყვანისმცემლები, რომლებიც იუბილარს გულით ულოცავდნენ ამ ღირსშესანიშნავ დღეს.

ბევრი თბილი სიტყვა ითქვა იუბილარის დიდ დამსახურებაზე. ქალბატონმა ქეთევანმა დაძაბული შრომით, პატიოსანი ცხოვრებით პრეპარატორობიდან პროფესორობამდე შესანიშნავი და ლამაზი გზა განვლო. მისი აღზრდილები დღეს მეცნიერები, პასუხისმგებელი მუშაკები და პედაგოგები არიან. ქალბატონ ქეთევანს გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, სტატიები, სახელმძღვანელოები ბიოქიმიასა და ორგანულ ქიმიაში, ეწევა მთარგმნელობით მოღვაწეობას, მის კალამს ეკუთვნის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. ლ. კრეტოვიჩის სახელმძღვანელო კაპიტალური ნაშრომის „მცენარეთა ბიოქიმიის საფუძვლები“ თარგმანი. ასევე გადმოაქართულა პროფ. ბ. პლეშკოვის სახელმძღვანელო „სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა ბიოქიმია“. გამოსაცემად მოამზადა ცნობილი ამერიკელი მეცნიერის ა. ლენინჯერის „ბიოქიმია“.

პროფესორი ქეთევან დგებუაძე სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევა. არის საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ პრეზიდიუმის წევრი, 1950 წლიდან საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარე, ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდის სახალხო უნივერსიტეტის განყოფილების გამგე, ეგრისის სახალხო აკადემიის გამგეობისა და სამეცნიერო საბჭოს წევრი.

სტუდენტობის პერიოდიდან ქალბატონი ქეთევანი ჩაბმული იყო კომკავშირულ, პარტიულ, საზოგადოებრივ მუშაობაში. დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში ზედიზედ ორჯერ იყო არჩეული სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის განთავისუფლებულ მდივნად. ამ საპასუხისმგებლო საქმეს ბრწყინვალედართმევდა თავს.

დაუფასდა შრომა ქალბატონ ქეთევანს. იგი დაჯილდოებულია მთავრობის ჯილდოებით, მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. არის შრომისა და კომკავშირის ვეტერანი, შეტანილია ინსტიტუტის საპატიო წიგნში.

მიუხედავად სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი დატვირთვისა, მან შესძლო სამი ღირსეული ვაჟის აღზრდა. ორი მათგანი — გურამი და გიორგი ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატია, მურმანი კი ემზადება სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, 5 შვილიშვილის ბებიას შინ მიუხარია. იქ მას ხვდება მოსიყვარულე და თბილი ოჯახი; ეს დიდი ბედნიერებაა. კვლავაც ბედნიერებას ვუსურვებთ ამაგდარ მეცნიერს!

**ტანია ფარფალია**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„...წარმოების ზრდა შეიძლება უზრუნველვყოთ პირადი ინტერესის, მატერიალური დაინტერესების საფუძველზე, ენთუზიაზმის დახმარებით“.

მ. ს. გორბაჩოვი

# ოჯახი იღებს იჯარას



ევა ქასოევა

მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის შედეგების მიხედვით სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდა თინა სულაბერიძის ბრიგადა. მან თითოეულ ჰექტარზე 50 ცენტნერის ნაცვლად 75 ცენტნერი „ჩინურის“ ჯიშის ყურძენი მიიღო, რომლისგანაც მზადდება საქვეყნოდ განთქმული ქართული შამპანური. რეკორდსმენ ბრიგადას შესაფერისად მიაგეს პატივი.

თინა სულაბერიძე, სწავლული აგრონომი რამდენიმე წლის წინათ ჩაუდგა მევენახეთა ბრიგადას სათავეში. იმთავითვე დაიწყო მითქმა-მოთქმა: ბრიგადას საქმეები ჩაუვარდება, განა ქალი ვაზის ხასიათს გაიგებსო? და სხვა ასეთები. ამ სიტყვებმა თინას ყურამდეც მიაღწია, მაგრამ გული არ გაიტეხა, ხმას არ იღებდა, ვნახოთ ვინ ვის აჯობებსო. ურწმუნოებს გულში მხოლოდ მაშინ შეეპარათ შიში, როცა ბრიგადის ზვრებში უხვად დახუნძლული ვაზები იხილეს.

თინას მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. მევენახეთა რიგებში მომრავლდნენ ქალები.

დ. იაკობაშვილის ფოტოები



მეურნეობის დირექტორი გიორგი თვაური და ბრიგადირი თინა სულაბერიძე

მექანიზაციის დონეც გაიზარდა, თინა მარჯვედ მიუჯდა საჭეს და სწრაფად გამონახა საერთო ენა ჭირვეულ და შრომატევად კულტურასთან... მეურნეობაში ახლა აღარავინ ამბობს სამუშაოს შრომატევადობის გამო მევენახეობა მხოლოდ კაცების საქმეაო.

მაინც რამ მისცა თინა სულაბერიძეს ისეთი ძალა, რომ უკან ჩამოიტოვა კაცების ათივე ბრიგადა, რომელთა შორის მხოლოდ ავთანდილ მელაძის ბრიგადა უწევს მეტოქეობას, მაგრამ პირველ ადგილს მაინც ვერ ართმევს? ამ კითხვაზე მეურნეობის დირექტორმა გიორგი თვაურმა გაგვცა პასუხი:

— ვაზი ფაქიზი მცენარეა, ქალებიც ფაქიზები არიან და გულმოდგინედ ასრულებენ აგროტექნიკურ პროცესებს. ამასთანავე თინა სულაბერიძეს უყვარს სიახლე და მუდამ უჭერს მხარს. მან მეურნეობაში პირველმა გადაიყვანა ბრიგადა იჯარულ მეთოდზე. ახლა შრომა საბოლოო შედეგების მიხედვით ნაზღაურდება და მეტი ფასი მიეცა. ბრიგადის წევრები შესრულებული სამუშაოს მიხედვით ყოველთვიურად იღებენ ავანსს. ზოგს თვეში ორასი მანეთი და მეტიც უწევს. წლის ბოლოს კი, როცა სამუშაოები მორჩება, პროდუქცია სახელმწიფოს მიეყიდება და ფულს მივიღებთ, ვახდენთ საბოლოო ანგარიშსწორებას. მთლიანად საიჯარო ბრიგადის წევრი თვეში საშუალოდ 350-400 მანეთს იღებს. ახეთ კოლექტივებში ორჯერ მეტია შრომის ნაყოფიერება ჩვეულებრივთან შედარებით. შარშან გეგმიური 97 ათასი მანეთის ნაცვლად ბრიგადამ 139 ათასი მანეთის შემოსავალი მიიღო. ცხადია, შემოსავალზე გავლენას ახდენს ხარისხიც, რომელიც უფრო მაღალ ფასებში ნაზღაურდება, აგრეთვე მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებიც, შხამქიმიკატებიც. ამიტომ იჯარული ბრიგადის წევრები ცდილობენ ზედმეტად არაფერი გამოიყენონ. მახსენდება, როგორ გვითხრეს უარი ახალ სავენახე ტრაქტორზე, იგი ბრიგადას საწარმოო ხარჯებად დაეწერებაო. სამაგიეროდ ძველი ტრაქტორი შეაკეთეს და ადვილად გადიან ფონს. ბრიგადაში ასევე ცდილობენ ფუჭად არ დახარჯონ სასუქები, შხამქიმიკატები. ისიც ხომ ფუჭ ხარჯებად დააწვება ბრიგადას. იჯარული მეთოდით მუშაობა ვერც ზარმაცებს იტანს. ისინი ხომ მეგობრებს აწვებიან მხრებზე. ამიტომ ასეთებს პირდაპირ ეუბნებიან: კეთილი ინებეთ და დაგვტოვეთ, ჩვენ თქვენთვის არ ვშრომობთო. ისეთ კოლექტივში, სადაც ყველაფერი ზუსტ გაანგარიშებაზეა დამყარებული და ყველაფერი მანეთით კონტროლდება, დისციპლინაც მაღალ დონეზეა.

წლეულს წარჩინებული მევენახის ბრიგადა ზვრებში ასეთი ვალდებულებით გავიდა: ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანონ 77 ცენტნერი ყურძენი და ამასთან, მნიშვნელოვნად შეამცირონ თვითღირებულება მოვლა-მოყვანის ინტენსიური მეთოდების უფრო ფართოდ გამოყენების საფუძველზე.

მცხეთელმა მევენახეებმა მხარი დაუჭირეს შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების მეორე საინტერესო ფორმას — ოჯახურ იჯარას. ამჟამად ასეთი ხელშეკრულება გაფორმებულია ათობით ოჯახთან. ოჯახური იჯარის პირობებში მკვეთრად ამაღლდა მწარმოებელთა პასუხისმგებლობა და მათი ოჯახის მთლიანი შემოსავალი. მაგალითად, ლამარა ძამაშვილს გაპიროვნებული აქვს 1,43 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახი. მას თავისუფალ დროს ეხმარებიან ქმარი გივი სოხაშვილი, რომელიც მცხეთის მანქანა-ტრაქტორთა პარკის სარემონტო სახელოსნოში მუშაობს, აგრეთვე შვილები ცეზარი და ხათუნა. შარშან ამ ნაკვეთზე ოჯახმა საგეგმო 93-ის ნაცვლად 123 ცენტნერი ყურძენი მოიწია და მარტო პრემია-დანამატის სახით 700 მანეთზე მეტი მიიღო. მას კიდევ უფრო მეტი თანხა ხვდა ხელფასის სახით. ამჟამად გაპიროვნებული ნაკვეთი კიდევ უკეთ აქვს მოვლილ-დამუშავებული და მეტ მოსავალსაც მოელის. იჯარული ოჯახის წევრები ამბობენ, რომ მათ ასეთი კოლექტივი იზიდავს არა მარტო მაღალი ანაზღაურებით, არამედ განსაკუთრებით — დამოუკიდებლობით, საკუთარი ადამიანური ღირსების შეგნებით. ეამაყებათ, რომ ძალიან საჭირო საქმეს აკეთებენ.

მარო ქუძიევმა შარშან ხალისით გაიპიროვნა 1,3 ჰექტარი მსხმოიარე ვენახი. საქმეს რომ შეუდგა, ქმარმა მელქო ქუძიევმა, რომელიც მშენებლობაზე მუშაობს და შვილებმა მერაბმა და ემზარმაც შეაშველეს ხელი. შემოდგომაზე კი აღფრთოვანებული დარჩნენ, როცა საგეგმო 65-ის ნაცვლად 122 ცენტნერი ყურძენი მიიღეს და ოჯახის ბიუჯეტს დამატებით ორი ათას მანეთზე მეტი შემატეს. დამატებითო, — ამ სიტყვას იმიტომ გავუსვით ხაზი, რომ ისინი მეურნეობის მუშები არ არიან, სხვა სამუშაოთი არიან დაკავებული, მაგრამ რადგან მის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, უნდათ სიკეთე შეიტანონ სოფლის კეთილდღეობაშიც და ოჯახს ბარაქა და დოვლათი შემატონ, თავისუფალ დროს მეურნეობაში შრომობენ. მარო ქუძიევის ოჯახი მასავით იჯარით მომუშავე ევა ქასოევის ოჯახს ეჯიბრება. ამ უკანასკნელს მევენახეობის მეშვიდე ბრიგადაში გაპიროვნებული აქვს ერთი ჰექტარი ვენახი. ევას ოჯახიც მოსამსახურეა, ნაკვეთს ამუშავებს სამუშაო საათების შემდეგ, შაბათ-კვირას და უქმე დღეებში, რაშიც ქმარ-შვილიც ეხმარება. შარშან გეგმით 50 ცენტნერი ყურძენი უნდა მიეღოთ, ფაქტიურად მიიღეს 92 ცენტნერი. ამ წარმატებისათვის პრემია-დანამატის სახით 845 მანეთი ხვდათ, მთლიანად კი 1600 მანეთი. წლეულს ქასოევებმა ამ ფართობზე 100 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს.

ოჯახური იჯარის მადლი ისიც არის, რომ მასში ჩაბმულია არა მარტო მეურნეობის წევრთა, არამედ სოფლის მუშა-მოსამსახურეთა, პენსიონერთა ოჯახები, მოსწავლეები. მათ სტიმულს აძლევს ის, რომ რაც მეტს იშრომებენ, მეტს მიიღებენ, და უკეთ იცხოვრებენ.

შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების მოწინავე მეთოდებმა ფართოდ მოიკიდა ფეხი მებაღეობაში, საკვებწარმოებაში, მეცხოველეობაში. ამ დარგებშიც სურათი სასიკეთოდ შეიცვალა. მაგალითად, მეცხოველეობა დიდხანს ჩამორჩენილ დარგად ითვლებოდა. მიზეზი პირუტყვის არადამაკმაყოფილებელი მოვლა და შეზღუდული საკვები ბაზა იყო. დაიწყეს მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნა, საჭირო იყო გაეფართოებინათ მეორეული კულტურების ნათესები თავთავიანთა აღების შემდეგ, დათესეს სასილოსე სიმინდი, იონჯა, ახლა მეურნეობაში 655 ჰექტარი სახნავი მიწაა. რა თქმა უნდა, ყველას როდი იყენებენ მეორეული კულტურების მოსაყვანად და არც არის ამის საჭიროება. თესავენ იმდენს, რამდენიც საჭიროა 400 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საკუთარი უხეში და წვნიანი საკვებით უზრუნველყოფისათვის. ამას თუ როგორ აღწევენ, მოწმობს ციფრები: 200 საფურაჟე ძროხა ჰყავთ და თითოეულზე შარშან მიიღეს 2.800 კილოგრამი რძე, რაც გეგმაზე მეტია, ხოლო თითქმის სამჯერ აღემატება იმას, რასაც ოთხმოციანი წლების დასაწყისში იღებდნენ. მოწინავე მეცხოველე ქალებმა თამარ წამალაიძემ და დუნია კასოევამ, რომლებიც იჯარული მეთოდით მუშაობენ, თითოეულ ფურზე სამი ათასი კილოგრამი რძე მოწველეს. ამის შედეგია, რომ მეურნეობამ თითქმის ერთიხუთად შეასრულა სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის დავალება არა მარტო 1986 წელს, არამედ, წლეულს განვლილ თვეებშიც. უახლოეს მომავალში აქ ოთხიათასიან მიჯნებსაც აიღებენ — თითოეულ ფურზე ოთხი ათას კილოგრამ რძეს მიიღებენ.

სიახლეებმა მეურნეობა მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. შარშან აქ 543 ჰექტარ სრულმოსავლიან ვენახში დაახლოებით 3100 ტონა ყურძენი მოკრიფეს. გეგმის ზევით თითოეულ ჰექტარზე მოიყვანეს 20 ცენტნერი ყურძენი. სუფთა მოგება მთლიანად აქ 157 ათასი მანეთი მიიღეს. და კიდევ ერთი დამახასიათებელი ციფრი: წარმოებული პროდუქციის 76 პროცენტი საიჯარო კოლექტივებისა და ოჯახების წილად მოდის, ხოლო თითქმის ნახევარი მიღებულია ქალთა შრომის გამოყენებით.

შრომის ორგანიზაციისა და მატერიალური სტიმულირების კონკრეტული ფორმები, რომლებიც გზას მიიკვლევს მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში, იმის გარანტიას იძლევა, რომ მეურნეობის მშრომელები ყოველწლიურად გაზრდიან პროდუქციის წარმოებასა და შრომის ნაყოფიერებას, ფულად შემოსავლებს, რაც მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების საფუძველია.

დ. ბიწაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა





# წინა ბჭე და ეზო კეთილობისა

საღამო ხანი იყო. დირექტორმა კიდევ ერთხელ გადახედა ხვალინდელი დღის გეგმებს, მერე კაბინეტიდან გამოვიდა, დერეფნებში გაიარა, ზოგი ოთახის კარიც შეაღო. ეზოში სიმშვიდე იყო. ბავშვები უკვე დასაძინებლად აეყვანათ. ჭიშკართან რომ მივიდა, შეყოვნდა და მოიხედა. ხის გრძელ სკამზე ჩვეულებრივი ჩანთა იდო, აი ისეთი, ბაზარში რომ დააქვთ ხოლმე. იდო, მერე რა? ალბათ, ვიღაცას დარჩა. დარაჯი შეინახავს და თუ ვინმემ მოიკითხა... ქუჩაში გავიდა, რამდენიმე ნაბიჯიც გაიარა. მერე უცებ მოტრიალდა და თითქმის სირბილით დაბრუნდა ჩანთასთან. საკეტი დაკეტილი დახვდა. უხერხულიც კი იყო სხვისი ჩანთის მალულად გახსნა. კინაღამ მოგლიჯა საკეტი უცნაური წინათგრძნობით შეპყრობილმა... ჩანთაში ჭრელ საფენებში შეხვეული ჩვილი იწვა და ეძინა.

ეს კიდევ რაა, ამისთანა დედას „მადლობაც“ უნდა ვუთხრათ გულმოწყალებისათვის, ამან ხომ მაინც ჩვილ ბავშვთა სახლის ეზოში დატოვა შვილი. სხვები ქუჩაშიც უპოვნიათ მეეზოვეებს და კიდევ იმისთანა ადგილებში, რომელთა აქ ხსენებაც კი უხერხულია.

მე ვფიქრობ, სწორედ ამით უნდა დავიწყოთ საუბარი, როცა ბავშვთა სახლებზე რამეს თქმას დავაპირებთ. დედით უნდა დავიწყოთ, ანუ იმ მიზეზით, რომელიც ბავშვთა სახლების არსებობას განაპირობებს. იყო დრო, და ამაზე არაერთხელ დაწერილა, როცა ბავშვთა სახლში მოხვედრილ პატარა ადამიანებს რაღაც მორალური უპირატესობა სხვებზე წინაც დააყენებდა. რადგან ისინი, ომის შვილები იყვნენ, მამულისათვის დაღუპული მშობლების შვილები. ეს მორალური უპირატესობა და საერთო პატივისცემა ცოტათი მაინც ცვლიდა დედებისა და მამების დაკარგულ სითბოს.

ეს იყო მაშინ... ახლა სხვა დროა. ახლა ამგვარ სახლებში მცხოვრებ თითქმის ყველა ბავშვს ორივე მშობელი თუ არა, ერთი მაინც ჰყავს. მშობლების გარეშე დარჩენილ პატარას კი ბავშვთა სახლში არავინ გააჩერებს, იმდენია მათი აღზრდისა და წაყვანის მსურველი.

თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში, ნუცუბიძის ქუჩაზე რომ მდებარეობს, სამ წლამდე ასაკის ბავშვები არიან. მათ უმრავლესობას ორიდან ერთი მშობელი მაინც ჰყავს და თანაც ისეთი, ვერაფრით რომ ვერ გაიგებ, რატომ გადასცა შვილი აღსაზრდელად სახელმწიფოს. რასაკვირველია, თავის გასამართლებლად მიზეზი ყოველთვის მოიძებნება, ავადმყოფობა, ეკონომიური შეჭირვება, პირობების უქონლობა და ასე შემდეგ...

ძნელია სხვის ცხოვრებაზე, სხვის ბედზე ასე ხელაღებით ლაპარაკი. ძნელი კი არა, უბრალოდ შეუძლებელია. მეც დიდხანს ვერ შევუთანხმდი საკუთარ თავს, მქონდა თუ არა ამ თემაზე წერის უფლება. რამდენჯერ დავაპირე ბავშვთა სახლში მისვლა, რამდენჯერ დავაპირე ხმის ამოღება, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავადაც დედა გავხდი, რაც ჩემი ბიჭის თბილი ხელისგულების შეხება ვიგრძენი, მას შემდეგ, რაც მივხვდი, რომ ყოველ დილით, ჯერ კიდევ თვალებდახუჭული, ამ ხელებით მხოლოდ მე მეძებს, — დედას, სულ სხვაგვარად დავინახე ბავშვთა სახლების პრობლემის არსი.

მე ახლა დანამდვილებით ვიცი, რომ აქ, თანამშრომლების შეცდომები, განაწესის დარღვევა და პირობების უქონლობა კი არ არის ყველაზე მთავარი, ყველაზე მთავარი სათავეა. დედისაგან შვილის მიტოვების მიზეზი. მერე კი, როცა ამ პრობლემას ღრმად ჩავუფიქრდი, მივხვდი, რომ ამ მიზეზის პოვნაც შეუძლებელია, ისევე, როგორც შეუძლებელია განსაზღვრო, საიდან მოდის ადამიანის ბუნებაში გულგრილობა თუ სიკეთე, გულისხმიერება თუ გულცივობა.

მე რომ შვილი შემეძინა, ჩემს გვერდით ერთი თვალხატულა გოგო იწვა, ჩვენი შვილები ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, ერთად გვიხაროდა მათი პირველი ცალგვერდა ღიმება, გვსიამოვნებდა მათი რძიანი სუნი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვწყინდა. როცა ჭამის შემდეგ ურიკაზე დაწყობილებს დერეფანში მიაგორებდნენ. ვუზიარებდით ერთმანეთს ჯერაც ბოლომდე შეუცნობელ დედობრივ გრძნობებს. მერე ჩემი მეზობლის გაწერის დღე მოვიდა. მერე კი გავიგე, რომ მან თავისი ბიჭი სამშობიაროში დატოვა...

მას შემდეგ გამუდმებით ვფიქრობ ამ ამბავზე და ათას შეკითხვაზე კვლავ გაუცემელი მრჩება პასუხი. და კიდევ, როცა ამაზე ვფიქრობ, მახსენდება ჩემი ახლობლების შესანიშნავი ოჯახი. უშვილობის დარდი აგერ უკვე რამდენი წელიწადია რომ მოჰყვებათ და ბავშვის აყვანის შესაძლებლობა ვერ გამოუძებნიათ საქართველოში, რადგან მსურველი თურმე ძალზე ბევრია, ბავშვთა სახლში კი ყველა გოგონას თუ ბიჭუნას ფაქტიურად მშობელი ჰყავს და მათი გაშვილება კანონის ძალით არ შეიძლება.

და მაშინ, მაპატიეთ კადნიერება, კანონი უნდა შეიცვალოს. თუმცა ბოლომდე და თანმიმდევრულად, რომ მაინც ვიცავდეთ კანონს, ეს პრობლემაც უფრო სამართლიანად და მალე გადაწყდებოდა. წესის მიხედვით, თუკი ერთი წელიწადი არ მოაკითხა შვილს დედამ, ბავშვთა სახლს უფლება აქვს აღძრას საქმე სასამართლოს წინაშე, რომ მშობელს დედობის უფლება ჩამოერთვას. მაგრამ ბავშვთა სახლების ხანგრძლივმა პრაქტიკამ დაარწმუნა მათი მესვეურები, რომ ეს საკითხი დროზე მეტად ჭიანურდება, ყოველთვის ჩნდება რაღაც ხელისშემშლელი მიზეზი, საბუთის უქონლობა და „ვიღაცის“ მომლოდინე ბავშვი რეალურად კვლავ არსებული დედის გარეშე იზრდება. ეს პრობლემა ძალზე მნიშვნელოვანია და იგი ზედმეტად მკაცრად, სრული კატეგორიულობით უნდა გადაწყდეს. თუკი ერთი წლის მანძილზე დედას შვილი არ ახსენდება და ამის სრულიად ობიექტური მიზეზი არა აქვს, ამგვარ დედას, რა ძნელია ამის თქმა, მაგრამ... დედობის უფლება უნდა ჩამოერთვას და ბავშვს, თბილ და ალერსიან ოჯახში ზრუნვისა და ყურადღების გარემოში აღზრდის უფლება მიეცეს.

ახლა ზაფხულია, ცხელა და თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი კოჯრის სიგრილეს არის შეფარებული. შუადღეა და ბავშვებს სძინავთ. პატარა საწოლებში გემრიელად მოკალათებულან და ფერად სიზმრებს ხედავენ. ყველაზე პატარების ოთახში რომელიღაც „უსინდისოს“ თავი შეურცხვენია და მაგიდაზე დაგორებულს საფენებს უცვლიან.

აქ რომ მოვდიოდი წინასწარ ვიცოდი რა დამხვდებოდა და რაზე უნდა გამემახვილებინა ყურადღება. ჩვენ ყველას უკვე ჩამოგვიყალიბდა გარკვეული სტერეოტიპი: ბავშვთა სახლი, ესე იგი, უყურადღებობა, ესე იგი, ცუდი პირობები, ესე იგი, მოუვლელი ბავშვები. მაგრამ დამერწმუნეთ, პრობლემა გაცილებით უფრო დიდია და ღრმა, ვიდრე კონკრეტულ პირთა უგულობა, თორემ მაშინ რა გვიჭირდა, გამოვცვლიდით დირექტორს, მოადგილეს, ძიძას და მოიხსნებოდა ყველა სირთულე.

დირექტორი ავთანდილ ბუბუტეიშვილი სწორედ ძალიან ენერგიული და საქმიანი ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა. დაფიქრებული ბავშვების ბედზე და მონდომებული, როგორმე, რაიმე საშუალებით საქმე უკეთესობისაკენ შეცვალოს. მაგრამ დირექტორი აბა რას გახდება, თუკი... თოთხმეტ ბავშვს მხოლოდ ერთი ძიძა უვლის და ერთი აღმზრდელი. ისინი ერთმანეთში ინაწილებენ მკვებავის ფუნქციასაც. არადა დედებმა ვიცით ერთი ჩვილის აღზრდაც კი როგორ სირთულეებს უკავშირდება, ტყუპების შეძენას კი მთლიანად გამოჰყავს ხოლმე მწყობრიდან ოჯახი. როგორ შეიძლება მოუაროს ერთმა ძიძამ ექვსი თვის და უფრო პატარა თოთხმეტ ჩვილს, რაც გინდა გულმოწყალე და გულისხმიერი იყოს! როგორ მოასწროს თუნდაც ორმა ქალმა დღეში ხუთჯერ აჭამოს თითოეულს და უფრო მეტჯერ გამოუცვალოს!

ძიძები არ არიან. ძიძების შოვნა ბავშვთა სახლის უმთავრესი პრობლემაა. ამ პრობლემას სახელმწიფოებრივად უნდა გადაჭრა. დღეს, როგორც იქნა, შეიძლება მსგავს საკითხებზე გახსნილად და გულახდილად ლაპარაკი. თანაც, რაც მთავარია, იმედით ლაპარაკი. იმ იმედით, რომ შესაცვლელი შეიცვლება.

ბავშვთა სახლები საგანგებო, განსაკუთრებულ სტატუსზე უნდა დადგეს. საგანგებო უფლებებითა და პრივილეგიებით. ბოლოს და ბოლოს, რა გახდა. რესპუბლიკაში სამი ჩვილ ბავშვთა სახლი გვაქვს. მივცეთ აქ მომუშავეთ განსაკუთრებული პრივილეგიები. მივცეთ განსაკუთრებული ხელფასები, არა მხოლოდ 20 პროცენტით რომ განსხვავდება სხვათაგან. მივცეთ ისეთი მატერიალური თუ მორალური დაინტერესების საშუალება, რომ ბავშვთა სახლებთან მსურველების რიგები იდგეს. მათ კი საგანგებო ტესტირებით მხოლოდ ყველაზე გულისხმიერთა, ყველაზე სათნოთა, ყველაზე მშვიდთა და ალერსიანთა შერჩევა შეეძლოთ. ახლა კი რა ქნან, ოღონდაც ვინმე მოვიდეს და სანამ თავს ყველაზე ცუდად არ გამოამჟღავნებს, ვინ შეელევა, ან როგორ, ხელის შემშველებელს?

ჩვილ ბავშვთა სახლები ჩვენს გადაუდებელ ყურადღებას საჭიროებენ. საერთოდ ბავშვთა სახლები, მაგრამ ჩვილთა—განსაკუთრებით. არ ვიცი როგორ, მაგრამ როგორმე უნდა მოხერხდეს ამ სახლებს დროდადრო მაინც ახალი, გაუყინავი ხორცი მივაწოდოთ. მე ვიცი, რომ ძნელია, ვიცი, რომ მრავალ ინსტანციაში და სხვადასხვა დონეზე უკვე მრავალჯერ იმსჯელეს ამაზე. ვიცი, რომ დირექტორს ხელი აქვს ჩაქნეული და ყოველნაირად ცდილობს დამარწმუნოს, რომ ეს არ მოხერხდება, რომ არაფერი გამოვა, რომ ამ საკითხზე ლაპარაკი არ ღირს და მაინც, მე ვბედავ ამაზე ხმამაღლა ლაპარაკს და ვერაფრით ვერ ვიგებ იმ ათასგვარ მიზეზს მონდომებით და მორჩილად რომ მიხსნიან ბავშვთა სახლის მესვეურები ხორცის შესყიდვის უფლებებზე და თავისებურებებზე. მე ვიცი ერთი: თუკი ჩვენს ქვეყანაში, რესპუბლიკაში თუნდაც რამდენიმე კილოგრამი ახალი ხორცი არსებობს. ეს ხორცი ჩვილ ბავშვთა სახლებს უნდა გაეგზავნოს.

ხორცი არსებობს, ჩვენ მას შევექცევით, ერთმანეთთან, წვეულებებზე.

ახლა, როცა ბავშვთა სახლი კოჯორში ისვენებს, თბილისში მათ შენობას სამთო ქიმია არემონტებს. სამთო ქიმია — ერთგული მეგობარი — შეფი, როგორც უწოდებენ. უსაზღვროდ მადლობლები არიან ამ ორგანიზაციისა, საკოლო ინვენტარის ფაბრიკასაც ემადლიერებიან. აი სხვა შეფების ხსენებაზე კი თავს იკავებენ: ესენია წყნეთის სამკერვალო და გლდანის ტრიკოტაჟის ფაბრიკები.

შეფები ეს ის ძალაა, რომლებსაც ახლავე გადაუდებლად და ყველაზე უწინ შეუძლიათ რეალური დახმარების გაწევა, ამიტომ მოვუძებნოთ ჩვილ ბავშვთა სახლებს ყველაზე ძლიერი, ყველაზე ღონიერი და ყველაზე სანდო შეფები.

გულდამძიმებული მოდიხარ ბავშვთა სახლიდან. პრობლემების ზღვაა. დამთრგუნველი, დამაფიქრებელი. ერთ წერილში ყველაფერს როგორ ჩაატევ. დღეს ყველანი იმედით შევცქერით ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებს. და თუკი ვინმეს, როგორმე შეეხება ეს ცვლილებები, ჩვილ ბავშვთა სახლი უპირველესი უნდა იყოს. ვიმეორებ: ასეთი სახლი ხომ მხოლოდ სამია რესპუბლიკაში. მოდით მოვინდომოთ ყველამ, ხელმძღვანელმა პირმა თუ რიგითმა მოქალაქემ. წარმოვიდგინოთ პატარა ოთახში შეჯგუფული თითისსიგრძე ბავშვები დიდი სევდიანი თვალებით და უცნაური მზერით, სითბოსა და გულისხმიერებაში რომ გვამოწმებენ და ვეცადოთ, როგორმე რაიმე გზით, რაიმე საშუალებით გავულამაზოთ ცხოვრება, შევუმსუბუქოთ უდედოდ გატარებული დღეების სევდა, ჩვენს შვილებს დავამსგავსოთ, მოვლილებს და ნასათუთევებს. გულხელს ნუ დავიკრეფთ, ვიფიქროთ, ვიმოქმედოთ, თორემ რა ქნან ერთეულმა გულშემატკივრებმა, რა ქნას მარტო თუნდაც ნინო ჟვანიამ, გინდაც ყოველდღე იაროს ბავშვთა სახლში და ყოველ ლურსმანზე—დირექტორის სიტყვებით რომ ვთქვათ — „დაანგრიოს“ ტელეფონი.

გნებავთ შევქმნათ საგანგებო ფონდი, გამოვაცხადოთ საგანგებო მდგომარეობა, ნუ დაველოდებით სტიქიურ უბედურებებს. გვახსოვდეს, რომ წყნარ დროსაც აქვე, ჩვენს ახლოს არსებობენ ბავშვთა სახლები, რომლებსაც ბევრი, ძალზე ბევრი პრობლემა აქვთ.

სიკეთე — წინა ბჭე და ეზო კეთილობისა — ასე განმარტავს სულხან საბა „სიტყვის კონაში“. როგორ მინდა ბავშვთა სახლის ეზოში შესულს სიკეთის ეს მარადქართული მნიშვნელობა გამახსენდეს.

**მარინე ვაშაყმაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნოვატორული აზროვნება ეკონომიკის გარდაქმნის სფეროში

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურმა ვითარებამ მოითხოვა თვისობრივი განახლება ცხოვრების ყველა სფეროში. დღემდე მოქმედი მართვის ფორმები და მეთოდები ჯერ კიდევ ოცდაათიან წლებში ჩამოაყალიბა და განსაზღვრა სახალხო მეურნეობის განვითარების სპეციფიკურმა პირობებმა და იმ ამოცანებმა, რომლებსაც იმ პერიოდში წყვეტდა ჩვენი ქვეყანა. სადღეისოდ პარტიის და ხალხის უპირველესი მოვალეობაა ეკონომიკის არახელსაყრელი ტენდენციების დაძლევა, მასების ინიციატივისა და შემოქმედების ფართოდ გაშლა. და აი, მიმდინარეობს მეურნეობის გაძღოლის ახალი მეთოდების ათვისება, რომლებიც შემუშავებულია 70-80-იანი წლების მიჯნაზე შექმნილი სიტუაციის ღრმა ანალიზის საფუძველზე — ინერგება ფართო მასშტაბის ეკონომიკური ექსპერიმენტები, მაგრამ ჯერჯერობით მიღწეულია არა კარდინალური, არამედ მხოლოდ ნაწილობრივი შედეგები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე განხილულ იქნა „პარტიის ამოცანები ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საქმეში". შეჯამდა გარდაქმნის დაჩქარების, განახლების და საჯაროობის ზოგიერთი შედეგი, განისაზღვრა თანამედროვე ეტაპის პირველი რიგის ამოცანები. ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმა და მისი არსი, სოციალური ასპექტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის და 27-ე ყრილობის მიერ შემუშავებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსი გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. გარდაქმნის საბაზისო პერიოდად მიღებულია მეთორმეტე ხუთწლედი, ხოლო წარმოების ახალ სისტემაზე გადასვლა ძირითადად 1989 წელს უნდა დასრულდეს. თვითანაზღაურებასა და თვითდაფინანსებაზე გადასვლა მოითხოვს ყველა მუშაკის დიდ ძალისხმევას, ეკონომიკური კატეგორიების ღრმად ცოდნას და გამოყენებას. დემოკრატიულობის განვითარებასთან ერთად იზრდება ყოველი ჩვენგანის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი. ყველამ უნდა ვიზრუნოთ ახლის დანერგვისათვის, დრომოჭმულის განახლების, ნოვატორული აზროვნების განვითარებისათვის. მართვის სისტემაში იწყება ახალი ერა — გადავდივართ ადმინისტრაციულიდან ხელმძღვანელობის უპირატესად ეკონომიკურ მეთოდზე. მკვიდრდება დემოკრატიული არჩევნების სისტემა ოსტატიდან დაწყებული მინისტრების ჩათვლით, რამაც თანდათანობით უნდა გამორიცხოს ხელმძღვანელ ორგანოებში არაკომპეტენტური პირების მოხვედრა. ყველა დარგის და სფეროს თანამშრომელთ მოეთხოვებათ სწორი ეკონომიკური აზროვნება, რათა უზრუნველყონ თავიანთი წარმოების ეფექტიანი მუშაობა, რაც საწინდარია წარმოების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისა, ეს უკანასკნელი კი განაპირობებს შრომის სათანადო ანაზღაურებას. ახალი, ჩვენი დროის შესატყვისი ეკონომიკური აზროვნების ჩამოყალიბება და დიდი გარჯა გვჭირდება თანამედროვე ეტაპზე, რადგან ვინც უკეთესს და იაფ საქონელს აწარმოებს, მისი ფინანსური მდგომარეობაც უკეთესი იქნება, ხოლო ის საწარმოები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფს მოთხოვნილებას, დაიხურება.

იცვლება საწარმოებში დაგეგმვის სისტემა. ძველისგან განსხვავებით, ამიერიდან გეგმების შედგენა ძირეული რგოლებიდან — საწარმოებიდან დაიწყება. გამოირიცხება საწარმო — დაწესებულების დოტაციაზე ყოფნა. ფართო გასაქანს იღებს კოლექტიური იჯარის ფორმა. დიდი ცვლილებებით ხასიათდება მომარაგების სფეროც. თითოეულმა ორგანიზაციამ პირადად უნდა იზრუნოს ძირითად საშუალებებზე და მათ განახლებაზე, დატვირთვის კოეფიციენტზე, საბრუნავ საშუალებებზე და მათს რაციონალურად გამოყენებაზე, წყლისა და ენერგიის ხარჯვის ნორმებზე, ყოველი ეს მაჩვენებელი გარკვეულ ზემოქმედებას მოახდენს საქონლის თვითღირებულებაზე, რაზეც დღემდე არ ფიქრობდნენ, რადგან ყველაფერი ზემდგომი ორგანოების მიერ იყო ლიმიტირებული. მოგების დიდი ნაწილი ამჟამად საწარმოებს რჩება და მათ ძალუძთ გამოიყენონ სოციალური დანიშნულებისათვის, აგრეთვე საწარმოების განახლება-გაფართოებისათვის. ამრიგად, ყველას ეძლევა საშუალება თავისი შესაძლებლობები გამოავლინოს, რაც მატერიალურად და მორალურად სტიმულირებული იქნება.

საკუთრების სხვადასხვა ფორმა, კერძოდ, სახელმწიფოებრივთან ერთად კოოპერაციული, ინდივიდუალური, შერეული და სხვა, ამიერიდან ფართოდ დამკვიდრდება სამეურნეო ცხოვრებაში, რაც შესაძლებლობას მოგვცემს უფრო უკეთ და სრულად დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მოთხოვნილება ფართო მოხმარების საქონელზე და მომსახურებაზე. მთელი ამ სიახლის რეალიზაცია საჯაროობის ატმოსფეროში უნდა განხორციელდეს.

პარტიის ნოვატორული და გაბედული გადაწყვეტილებები ხალხმა ერთსულოვნად მოიწონა და მიიღო სამოქმედო პროგრამად. ახლა მთავარია გარდაქმნის სტრატეგია, რომლის მიზანიც საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაა, ჩვენი ცხოვრების სინამდვილედ გადავაქციოთ.

 იუზა კატუკია,
საერთაშორისო მიმომხილველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედა, მამა, მამაჩემის ცოლი და მე...



მანანა ზარიძის ნახატი

მეოთხე კლასში ვიყავი, ის ქალი ჩვენს ოჯახში რომ მოვიდა. უცნაურად დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. ავად გავხდი და მივლიდა. საბნიდან ცხვირამოწეული ვადევნებდი თვალს მის ფუსფუსს. მახსოვს, ყურის ბიბილოზე თითი მიიდო და მითხრა: მალე მორჩი... და რომ გაიზრდები, ამ საყურეს გაჩუქებო. მერე... თანატოლებივით ვგრძნობდით თავს, ხშირად დაუსრულებლად ვიცინოდით; ერთ ციცქნა ოთახში კუკუდამალობანას ვთამაშობდით. ვკითხულობდით ზღაპრებს, მოთხრობებს, ლექსებს. ერთმა უცნაურმა თამაშმა უფრო დაგვაკავშირა. დავიწყეთ ზღაპრების წერა. ის დაწერდა, მე ვაგრძელებდი. ერთი ზღაპარი დამამახსოვრდა ყველაზე მეტად. ისიც კი მახსოვს ვინ რა დავწერეთ.

მან დაიწყო: — ერთ ქალაქში ცხოვრობდა პატარა გოგონა — ხათუნა. ის სხვა გოგონებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ასფალტზე უყვარდა ხატვა. როგორი ფურცელიც არ უნდა მიგეტანათ, ერთ ხაზსაც არ გაავლებდა.

არ შემიძლია ამაზე ხატვა, ასფალტზე მირჩევნიაო, — გეტყოდათ და იმდენს ხატავდა, სულ გადაათეთრებდა ხოლმე ასფალტს. მერე რა სჯობდა იმ მოხატულ ასფალტზე სიარულს! იარე და უყურე დაბლა ლამაზ შვლებს და ჩიტებს. იმდენი ხატა ხათუნამ, რომ მთელი ქალაქის ქუჩები მოხატა და მოხატულ ქალაქად გადააქცია.

მე განვაგრძე: — ერთი უცნაური ძია ცხოვრობდა იმ ქალაქში. ნახავდა თუ არა ქალაქის მოხატულ ქუჩებს, აიღებდა ხის კვერთხს და იტყოდა — რა ბინძური ქალაქია. აბა, გაირეცხოს ახლავე!.. და უჩნდებოდა ხათუნას საქმე, იწყებდა ქალაქის ქუჩების თავიდან მოხატვას. დღე ხატავდა, საღამოობით კი ზღაპრებს კითხულობდა.

მან განაგრძო: — ხათუნას არასოდეს წაეკითხა ზღაპარი დედინაცვალზე, რადგანაც დედა ყოველთვის უმალავდა ასეთ ზღაპრებს, მაგრამ ერთხელ მაინც ჩაუვარდა ხელში ზღაპარი ეთერზე და ბუებზე. წაიკითხა ეს ზღაპრები და ყველა დედინაცვალი შეძულდა. ეფერებოდა დედას, ყველა სურვილს უსრულებდა, რომ მერე დედინაცვალი არ მოსულიყო სახლში. დედაც მისი ყველა სურვილის შემსრულებელი იყო. დედის ალერსში გოგონას ავიწყდებოდა ყველაფერი — რაც დედინაცვალზე ჰქონდა გაგონილი და იწყებდა თავის საყვარელ საქმეს — ქუჩების მოხატვას. საღამოობით კი ისევ ზღაპრებს კითხულობდა. იმატა იმ ქალაქში ჟუჟუნა წვიმებმა. და ეს კი იმ ძიას უხაროდა, სისუფთავე რომ უყვარდა. წვიმა შლიდა და შლიდა მოხატულ ქალაქს, ხათუნა კი ხატავდა და ხატავდა. მობეზრდათ ქალაქის მცხოვრებლებს ამდენი წვიმა და უთხრეს გოგონას:

მე: — ოჰ, შე საძაგელო გოგო! დედინაცვალსაც მოაბეზრე ხომ თავი, სულ ქუჩაში რომ ხარ და ხატავ!..

— რას ამბობთ, მე დედინაცვალი კი არა დედა მყავს, დედა!

— დედინაცვალი გყავს, დედინაცვალი, — უთხრეს ჭორიკანა ქალებმა.

წავიდა სახლში ხათუნა მოწყენილი, დაჯდა და იტირა. როგორ არ ეცადა დედა დაემშვიდებინა, რას არ შეპირდა, რა არ უთხრა, მაგრამ ვერაფერს გახდა. გოგონა ტიროდა და ტიროდა. ბოლოს სახლიდან გაიპარა და ყველას, ვისაც კი შეხვდებოდა, იმას ეხვეწებოდა, იქნებ ჩემი ნამდვილი დედა მაჩვენოთო.

ის: ხათუნას დაკარგვით შეძრწუნებულმა ქალმა სახლში ველარ გაძლო, ქარად იქცა და ხათუნას აედევნა.

დადის ამის შემდეგ გოგონა და ყველგან ეძებს დედას. დედას კი აბა, როგორ იპოვნის, როცა ამ ქვეყნად აღარ არის. დაქრის ქარი დედამიწაზე, დასდევს ხათუნას და როცა ბობოქრობს, მაშინ ეხმარება გოგოს რომ ხრამში არ გადაიჩეხოს. როცა მშვიდადაა და ოდნავ უბერავს, მაშინ ეფერება ხათუნას და თმებს უვარცხნის. როცა საერთოდ არ ჩანს ქარი და სძინავს ხათუნას, იგი ბავშვის მშვიდ ძილს დარაჯობს".

ასეთი იყო ერთ-ერთი ზღაპარი, რომელსაც ჩვენ „როგორ გაჩნდა ქარი" დავარქვით.

მე ხან მამასთან მიხდება ყოფნა და ხან დედასთან. (ალბათ მიხვდით. დედა და მამა ცალ-ცალკე ცხოვრობენ) ვერცერთი ვერ მელეოდა. მამასთან საინტერესო სამყარო მელოდა. უამრავი წიგნი და ჟურნალი, მამაჩემის საინტერესო საუბრები ხელოვნებაზე და ის ქალი, ზღაპრებს რომ ვწერდით ერთად.

დედასთან?... მანამდე არასოდეს დავფიქრებულვარ, რომ დედა და მამა ცალ-ცალკე ცხოვრობდნენ. მე დედასთანაც ვიყავი და მამასთანაც. მართალია ისინი ცალ-ცალკე იყვნენ, მაგრამ ორივესთან ვიყავი. და აი, უცბად მოვკარი ყური დედაჩემის ნათქვამს. „სკოლაში არ წაიყვანოს იმ ქალმა ბავშვი, რატომ უნდა თქვან, რომ დედინაცვალი ჰყავს"... გამაჟრიალა... მამაჩემის ცოლი ახალგაზრდა ქალი იყო, თითქმის დედაჩემის ხნისა, ჩემთან ხან თანატოლივით ლაპარაკობდა, ხან როგორც დიდს, ისე მესაუბრებოდა. ხშირად გამიგონია საწოლი ოთახიდან მისი ტირილი. რატომ ტიროდა? ბავშვი ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, მაგრამ მას ვბაძავდი. შევიდოდი იმ ოთახში და ვითომ მეც ვტიროდი... ტკიოდა. მაგრამ რა ტკიოდა? იქნებ ის, მე რომ დედა მყავდა და ის მიყვარდა. იქნებ მამაჩემისგან ითხოვდა მეტ სითბოს. არაფერი ვიცი.

ის კია, დედაჩემის სიტყვების შემდეგ, როცა მის სახლში ვიყავი, უცნაურობა დამჩემდა. თან მსიამოვნებდა მასთან ყოფნა, თან რაღაცის მრცხვენოდა. სულ წოლა და ფიქრი მინდოდა, გარეთაც კი არ გავდიოდი ბავშვებთან.

## მამა

მამაჩემი ჩემი საფიცარი ღმერთია, ადამიანი, რომელმაც ყველაფერი იცის. ადამიანი, რომელიც დედასავით ზრუნავს ჩემზე. მახსოვს, ჩვენ რომ მარტო ვცხოვრობდით, როგორ მივლიდა. მძინარეს რამდენჯერმე გამისწორებდა საბანს, მერე ნაზად მაკოცებდა. მახსოვს, ავადმყოფს როგორ მიკითხავდა ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“ და ერთად ვიცინოდით. დავყავდი სკოლაში, მასწავლიდა რუსულს, ინგლისურს, მათემატიკას... ისიც მახსოვს, ერთხელ სტუმრებთან როგორ მადლეგრძელა: მინდა ჩემი გოგო ჩემთანაც კარგად გრძნობდეს თავს და დედასთანაცო. ის ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც დედაზე კარგს მეუბნებოდა.

## დედა

დედა? გარეგნულად ძალიან ლამაზი, მოხდენილი და მიმზიდველია. უზომოდ კეთილიც არის. მაგრამ მე დედასთან სტუმარივით ვიყავი და... ეჰ, რადგან ამ ქვეყნად მომავლინა... დაე... თავად იცოდეს რა განუზომელი ტკივილი მისახსოვრა.

## მე

მე ახლა დიდი ვარ. დედა იგივეა ჩემთვის, რაც იყო... მამა უფრო მეტად მიყვარს. მამაჩემის ცოლი? ის ჩემი დედინაცვალი არ ყოფილა. მეგობარი? არა, არც მეგობარი. მეორე დედა? ამას ვერ დავუშვებდი მაშინ. თუმცა რატომ არ უნდა ყოფილიყო ასე? ალბათ იმ ზღაპრების გამო, სადაც ასე ბოროტადაა გამოყვანილი დედინაცვალი.

რამდენჯერ ვატკინე გული ჩემი დაუფიქრებელი საქციელით. ერთხელ სკოლაში მოვიდა ჩემს წასაყვანად. მე დავიმალე. დამინახა რამდენჯერმე და მაინც დავიმალე. ბევრჯერ წამიყრუებია და არ მიპასუხია მის შეკითხვებზე. თითქოს უმნიშვნელო შეცდომებია, მაგრამ ჩემი მოქმედება ხომ მისი უარყოფა იყო, უარყოფა ადამიანისა, რომელსაც ვინ იცის, იქნებ შვილივით ვუყვარდი?

ახლა მე ვდგავარ დიდი გამოცდის წინაშე. შემიყვარდა კაცი, რომელსაც ბავშვი ჰყავს. გავხდე მისი ცოლი თუ არა? შევძლებ შევასრულო ამ ბავშვის ბედში ისეთივე როლი, როგორიც მამაჩემის ცოლმა შეასრულა? შევძლებ იმ მძიმე ტვირთის ტარებას, რასაც მუდმივი ეჭვი და ურწმუნობა ჰქვია? შევძლებ ბავშვს შევუცვალო დედა და შევაყვარო ქალი, რომელსაც მამამისის ცოლი ერქმევა?

* * *

ამ ამბით (ალსარებასავით რომ წარმოვთქვი) მინდა უდარდელ დედებს შევახსენო: დათმონ პირადი „სიამოვნებანი“, რათა შვილის სული გაორებული ფიქრითა და დარდით არ აავსონ, ბავშვობის ლამაზი წლები სევდით არ დაუჩრდილონ!

დედინაცვლის როლში მყოფთ კი მინდა ვთხოვო ყოველთა სიძნელეთა თმენა და შთავაგონო: სიკეთე არ იკარგება!

**ციცო კეთილაძე**



## მთვარისა კერესელიძე

## ჩემი მამულის მძლე სიყვარულმა

სევდამ კი არა,
დარდმა კი არა,
ჩემი მამულის მომკლას იარამ!
. . .
დამწვას ალმურმა — ჩემმა მამულმა,
ქართულმა სტვირმა და სალამურმა,
ჩემმა „ლილეომ“, „ჩელამ“, „ვარადამ“,
გამომაფინოს მთად და ბარადა.
ვერცხლის კულამ და თიხის ხელადამ
მაჭეტიალოს მინდორ-ველადა.
დამწვას ალმურმა — ხმამ საამურმა,
სადიდებელმა ქართული ვაზის,
ჩემმა მამულმა, ჩემმა მამულმა,
უმშვენიერეს ნათელი აზრის...
თუ სიკვდილია, მისთვის მოვკვდები,
დამიტირებენ მისი ბოკვრები!
შემომახიოს რითმა ზღვაურმა,
თუ მკლავს, მამულის მომკლას ხმაურმა,
ძველმა კვეტარმა, ზარზმამ, ხახულმა,
მზემ ხვალინდელმა, — ჯერ არ ნახულმა...
დამწვას ალმურმა, — ჩემმა მამულმა,
დამწვას მეტეხმა, მცხეთამ, ვარძიამ,
სიმღერამ მთაში გადამალულმა,
ქართული სული რომ დაარწია.
. . .
გადამიარა გულზე ხვიარამ,
არ გამიარა ძველმა იარამ,
კვლავ გამიტაცა ფიქრმა ფარულმა,
ლექსის კი არა,
რითმის კი არა,
ჩემი მამულის მძლე სიყვარულმა!

* * *

ყვავილებით შემოვლობე ეზო-კარი
კარ-მიდამო!
ქროდა ქარი, ქროდა ქარი
გამოღმისკენ გაღმიდანა.
შემოფრინდნენ ფუტკრები და...
უსაზღვრო სკას დაემსგავსა ეზო-კარი,
ფიჭისა და თაფლის სურნელს,
მიაფრქვევდა ალმა ქარი.
მაგრამ უცებ, ვარდის ფურცლებს,
კრაზანების მოსდგა გუნდი,
აყვავებულ ეზო-კუთხეს,
მას აქეთ ვერ დავუბრუნდი.
დამიჩხვლიტეს სახე, ტანი.
ხელები და კაბის ქობა.
და დამცინის ის, ვინც ეზო,
ეკალ-ბარდით შემოღობა.

## ანა სნეგინა

სწორედ იმიტომ არ მოველ შენთან,
რომ სულო ჩემო, მიყვარდი ძლიერ.
მე სასწაულით ჩემს თავსა ვძლიე,
წრფელ სურვილებში რომ ჩამეკეტა.

ქარს შევუშვერდი მზედაკრულ ხელებს,
და ატყდებოდა სულში ავდრები...
„შენ კონიაკის ბოთლივით მერე
გამომცლიდი და გადამაგდებდი“.

* * *

სწორედ იმიტომ არ მოველ შენთან.

* * *

თავის ხატი აქვს ყველა იზიდას,
თავის ტაძარი!
რა ვქნა, მე ჩემი მიწა მიზიდავს,
კერის ნაცარი...
. . .
თავის ხატი აქვს ყველა იზიდას!

* * *

წარვედ.
უკეთუ, მივეფარე ყვავილთა გლოვად,
მე ისევ მოვალ...
როგორც მითი,
ანდა თქმულება...
და შენს კორდებზე ვიყვავილებ სასწაულებად!

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შუქი ტალანტისა

შეიძლება ყველა მხატვარმა არ იცის, — რომ იგი პოეტია: შეიძლება ყველა პოეტმა არ იცის, — რომ იგი მხატვარია... ესმა ონიანი კი ის ფენომენია, პოეზიაც და მხატვრობაც რომ თანაბრად ხელეწიფება. მისთვის სიტყვა და ფერი საშუალებაა სულიერი სამყაროს გამოვლენისა. ეს სამყარო კი მდიდარია, მრავალფეროვანი და წახნაგოვანი, შეიძლება წინააღმდეგობებითაც აღსავსე, სხვანაირად ხომ შეუძლებელია: „ტბები მობარბაცე — ჩემი თვალებია ქარით შეძრული...“ მართლაც რა ქარი ამოვარდა იმ ღამით, მათთან რომ ვიყავ. „ზეგნებზე, მთებზე ქარი მიმათრევს... შავი ფრთებივით გავშალე თმები ქარსა და მზეში, თვალებს მიფატრავს სხივი რისხვისა, მბრწყინავი ეშვი!“ რისხვისა რა მოგახსენოთ, და სხივი წარმტაცი კი ცისარტყელობს იმ სურათებიდან, ბინის კედლებზე რომაა გამოფენილი. „ესმა ონიანი ძირითადად წითელბუნდოვან ფერში გამოხატავს თავის სიზმარეულ, თითქოსდა, ეიფორული თვალით დანახულ სილუეტებს“ — აღნიშნავს ხელოვნებათმცოდნე თბილისის მხატვრის სახლში მოწყობილ „24 მხატვრის გამოფენის“ ჟამს... „პოეტი ქალის შემოქმედება მშვიდი ტონებითაა გამორჩეული. აზრის სიღრმე, მდიდარი ლექსიკური არსენალი, მშვენიერებისადმი მკვეთრი სწრაფვა... ლირიკული განცდის მრავალწახნაგოვნება“.

„დავწერ ლექსებს, დავხატავ სურათებს, პოეზია და მხატვრობა ხომ ჩემი განუყოფელი სიყვარულია“.

წელს, მოსკოვში, საკავშირო მხატვრის კვირეული საქართველოს სსრ სახვითი ხელოვნების გამოფენით გაიხსნა: „უაღრესად ინტიმური, ღრმა, გამჭვირვალე ნისლით არის მოცული ესმა ონიანის ფერწერული ტილოები. ისინი პოეზიასავით თანდათან შემოდიან შენში ფერით, რომლის დაფიქსირებაც კი ძალიან ძნელია, იმდენად მრავალსპექტრიანი და ლირიკულია იგი“. ასე აღინიშნა ესმა ონიანის მიერ გამოფენილ ტილოების ირგვლივ.

კიდევ ითქვა ბევრი რამ, საამაყო და გულისგასახარი. მაგრამ რაგვარი ინტიმია და რა ლივლივა სიღრმეა, როცა თავად მხატვრის ბინაზე სტუმრობ. საუბარი პოეზიაზე, მხატვრობაზე... პირველ ნაბიჯზე, სულს რომ აღარ ძალუძს შემოინახოს, თავისთავში ჩაკეტოს ფერი, სიტყვა, ემოცია. ერთად მოყრილი ემოციებია ხელში ფუნჯს რომ გალებინებს. ბავშვობა, — აი პირველ წყარო სურათებისა: „დედა ცხვირსახოცით“, „დედა გვიკითხავს“, „დედა ქარგავს“, „დედის პორტრეტი“, „ირა მარგალიტებით“, „მე...“, ახლა დედაც და დაიკო ირაც მაგიდასთან სხედან, საუბრობენ და მელოდიურად ეხმიანებიან თავისსავე პორტრეტებს... ქარი აწვება სარკმელს და ძალით აღებს. ფანტავს ქაღალდებს, ფანქრებს. აშფოთებს ირას ნაზ პროფილს, დედის ახალგაზრდულ თვალებს. თითქოს შუაზე წყვეტს მოგონების ძაფს: ვაჟკაცი მამა, კავკასიის დაცვის გმირული ეპოპეის რაინდი, სვანეთის გზებზე თბილისიდან მიმავალი ოჯახი. თვალში სამუდამოდ ჩარჩენილი ძახველის წითელი კუნწულა, სროლის ყრუ ხმა. მხატვარი ესმა ონიანი კიდევ რამდენჯერ გამოიწვევს წლების მიღმიდან პაწაწა ესმას: „ისევ აღვანთოთ სამშობლოსთვის ჩვენი გულები!“ ამ ანთებულ გულს კი ბევრი რამ ახსოვს: „რა არ გვავიწყებს დაუვიწყარს, უკვდავად შობილს — ლტოლვას, სიყვარულს, კვლავ გულების გიზგიზა ნათელს?!“ ხსოვნის ამ ნათელში ვლინდება ბევრი რამ, ბევრი ვინმე: მათგან; დაუვიწყარი გურამ რჩეულიშვილი, მისი ოჯახი, დედა, დაიკო მარინე, მეგობრობა, ლარსის ქუჩა, ტრაგიკული დღეები... და ახლა მთელი ციკლი ლექსებისა: „გურამის მაგივრად თქმული ლექსები“, — ვით არდავიწყება, კვლავ მდინარება პირველი გატაცებისა.

„ლარსის ქუჩის ასახვევთან
დედა გამოჩნდა.
— ვერ მოვზომე ჩემი სიჩქარე
და დავეჯახე.
შებარბაცდა, გული ტკბილად
გადაუქანდა,
და მოეკუმშა წამსვე უფრო მწარე
ტკივილით —
მოგონების სხივად მიმილო“.

დაე, მარად გვალამაზებდეს სხივი სიკეთისა, მადლიერებისა, და რაც მთავარია: სხივი ტალანტისა.

ნაზი კილასონია

ეროვნული ბიბლიოთეკა



დის პორტრეტი



ახალგაზრდა კაცის პორტრეტი



ხედი ფანჯრიდან



დედა ბავშვებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ესმა ონიანი

## ვარდის მურაბა

ვარდის მურაბის რბილ ფურცლებში
ძველი ტკბობაა,
პარკების ხრეშ და ნარინჯისფერ ბილიკების
ძველი დინება,
მუქ და ღია მწვანე ხეების,
აგურის კედლის
მზიანი დღით, გუმბათებით მოგვირგვინება;
გადაწვერილი მზე, კვიპაროსი,
ჯორჯიაშვილით დედასთან ერთად.
ჯვარი გვწერია! ძველი მადლი და სიყვარული!
თუ აღარ არის, როგორ ღვივის
ჩვენს გულში ღმერთად?!

რა არ მავიწყებს ღვინისფერი ვარდების კონას?
ვარდების სუნს აურწყავი რაღაცით სავსეს,
ხის კიბეებზე მაღალ სარკმლით სინათლის ფრქვევას,
გაზაფხულების თბილ ეზოებს, თბილისის სახლებს.

რა არ მავიწყებს ძველ სახეებს, წიგნებს, ხამშობლოვ!
წიგნებში გხწავლობთ, გამოტანჯულს ძველების გულში,
მკერდში გაკავებ, ჩემი რწმენის სალტეებით მინდა გამტკიცო,
შენი ნაკვთების მხხლეტ გაფანტვას და ძილს გაშორო).

რა არ მავიწყებს? შრიალს, ქარებს თეთრ აკაციებს,
ძველი ქუჩების ტკბილ სურნელში, ცვენაში გამხვევს,
რა არ გვავიწყებს დაუვიწყარს, უკვდავად შობილს —
ლტოლვას? სიყვარულს? კვლავ გულების გიზგიზა ნათელს?!



## გურამის მაგიერ ნათქვამი ლექსები

აქ ამოდის საკმევლის, ვარდის, თაფლიანი წანდილის სუნი,
— უფრო საგრძნობლად ნიავ-ქართა აქაურ წესში
ამოსული სიყვარულის მოგვბერს მარაო —
ამსუბუქებას, ქროლვას ჩვენსას აჩქარებს;
რა გუნდი ჩანს ახალგაზრდების?
მათგან წამოსულ ძლიერ სვეტზე
როგორც ჭავლზე, ისე ვნანაობ.

* * *

რა კარგია, რომ გამომიხმობ ზოგჯერ სიზმრით
ღამის თბილისში დიდ ხესთან,
რაღაც აუზთან რატომ ვიდექით?
შავი პერანგით შემოსილი მაწვიე თბილისს;
რა სიწყნარეა, არავინაა
და ჩემი მზერა ელბაქიძის დაღმართზე მიდის.



* * *

რა მემართება, საოცარია
აქაურ ქარს ნაცნობობის რა-ღა-ც ამოაქვს,
უხსოვრობის კაშკაშისკენ მიმავალ ველობს
ველარ მივყვები მაყოვნებს რა არი
ვარ-დის სუნი, ოქროს-ფერი, სა-ქარ-თვე-ლო...
რიალებს ქარი აქაური, მივყვები ველობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ელისაბედაშვილი

# სინანული

მოთხრობა

მე ის სადგურის ბაქანზე შევნიშნე სადა, მაგრამ გემოვნებით ჩაცმული ქალი, რომელმაც ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ჩვენი ვაგონის აბრას და კიბეები ამოიარა.

სრულიად შემთხვევით ჩვენ ერთ კუპეში აღმოვჩნდით.

— მაპატიეთ ასე შინაურულად რომ ვიქცევი, მაგრამ მატარებელი მეორე სახლად გადამექცა,— მითხრა და პორტფელიდან გაზეთში შეხვეული, ოთახში სახმარი რბილი ჩუსტები ამოიღო, ფეხები წაუყარა.

— რად მგზავრობთ ასე ხშირად? — დავაწიე ძირს დახრილს და ჩემდაუნებურად, პერანგის ნატიფ არშიაში მის თეთრ მკერდს შევავლე თვალი.

— ყოველ კვირა ლექციების წასაკითხად მიხდება მგზავრობა!

— ეგ მართლაც ძნელია!

— იმდენად ძნელი არ არის, როგორც მოსაბეზრებელი!

ამ სიტყვებით ქალმა შუბლზე ჩამოშლილი წაბლისფერი თმის ბწკალები გადაიწია და რბილი საწოლის ზურგს მიეყრდნო.

— რა მშვენიერი ქალია! — გავიფიქრე და მისი მოხდენილი თეძომკერდი თვალით გავზომე.

ელმავალმა რახანია დასძრა რონოდები და რკინიგზის ლიანდაგს რიტმული დაგიდუგით გაჰყვა. ერთხანს ჩაცხრა ხალხის ფუსფუსი და მისვლა-მოსვლა, ხოლო კარგახნის შემდეგ სარკმელთან მიცვენილი ბიჭების ხმა შემომესმა.

— ზალიკო, რიონი, ხედავ, ბიჭო, რიონი! — იძახდა ალტაცებული ბიჭუნა. როცა მცხეთის ბაქანს გავცდით და მთებს შუა მომწყვდეული მტკვრის მეორე დინება ჩვენს ფერხთით ხელის გულივით გამოჩნდა.

ღიმილით მივადექი კარებს. გვერდითა კუპეს წინ, ნახევრადჩამოწეულ სარკმელთან, ორი ნაბდისქუდიანი ბიჭუნა იდგა, ხელში რაჭული გომიჯის მოზრდილი ყუა ეჭირათ და მადიანად ილუკმებოდნენ.

ახლა დერეფანში გავედი და სარკმელთან დავდექი, არა, არ მიფიქრია ბიჭებს საუბარში ჩავრეოდი, მინდოდა მათთვის მეცქირა, მათი გულუბრყვილო საუბრით დავმტკბარიყავი.

ფანჯრის წინ მიჰქროდა ჩემი ქვეყნის ლამაზი ხედი.

— ეგერ, რიონი, არ გახსოვს, ბიჭო, რიონი! — გაიოცა ისევ არჩილმა და ძმას ახლა უკვე მინდვრებში გალამბულ მტკვრის კალაპოტისკენ მიუთითა.

ზალიკომ არაფერი უპასუხა. გომიჯი ისევ მადიანად ჩაკბიჩა და ფანჯრის წინ აბობლებულმა, მზით გარუჯული ცხვირი მინას მიადო.

გვერდითა კუპედან ახლაღა გამოვიდა ახალგაზრდა დედა. ქალს ჩვილი უჯდა მკლავზე, ჩვილს ეს-ეს არის, წამოსულ კბილებში ძვლის რგოლი ჩაეჩარა და მონდომებით ებრძოდა.

— არჩილ, მე ხომ გითხარი ამ მდინარეს რა ჰქვია, აღარ გახსოვს შვილო?! — ჩაერია დედა შვილების საუბარში, როცა ბიჭებს თავზე დაადგა.

— რიონი? — თქვა ყმაწვილმა უკან მოუხედავად.

— რიონი ხომ ბებიასთან არის, ამას კი მტკვარი ჰქვია, მე ხომ გითხარი, არ გახსოვს ბიჭო? — თქვა შეჯერებით ქალმა.

ამ ხმაში იმდენი დედური ალერსი იგრძნობოდა რომ ერთბაშად მოვიხედე. ჩემ წინ საკმაოდ მოქანცული, სანდომიანი სახის ახალგაზრდა ქალი იდგა.

— თქვენები არიან? — ვკითხე ქალს მორიდებით.

— დიახ, ჩემები, — თქვა ქალმა და რატომღაც თავის კუპეს მოხედა. გვერდითა კუპეს ქვედა საწოლზე მაღალი, ეშხით სავსე ლეიტენანტი იჯდა. მგზავრობას ეტყობა ისიც საკმაოდ მოექანცა, საწოლის ზურგს მიყრდნობილს ცალი ხელი ტყავის ქამარში წაეყარა, ცალიც მის მუხლებზე მიწოლილ გოგონას ნაწნავებზე დაედო და იღიმებოდა. გოგონა კი უამბობდა და ეკითხებოდა, ეკითხებოდა და უამბობდა. მათ შორის ეტყობა უკვე გაბმულიყო ბაასის ის მომხიბლავი ქსელი, ურომლისოდაც კაცი მუნჯი მარტოობისთვის არის განწირული.

— რა შესანიშნავია! — გავიფიქრე, რომ ლეიტენანტმა შავი, გაბედული თვალები გამისწორა.

ჩემი დაყინებული ცქერა ახლა უფრო ახირებულ ცნობისმოყვარეობას გავდა, ვიდრე უბრალო თვალის დაკვრას.

უეცრად შემოვბრუნდი.

ჩვილმა ჩემკენ გამოიწია.

— დამიხედე ამ უკარებას, ნამდვილად მოეწონეთ! — მითხრა ღიმილით ახალგაზრდა დედამ.

— იგრძნო, რომ ბავშვები მიყვარს! — ვუთხარი და ჩვილს მაჯაზე თითით მივუთათუნე.

მტკვრის კალაპოტის წარმტაცი ხედი ჩათავებულიყო და სარკმელში ქართლის ბარაქიანი მინდვრების მომხიბლავი მიწიერი სივრცე მოსჩანდა.

არჩილი და ზალიკო ახლაღა მოსწყდნენ სარკმელს და მამასთან მიიჭრენ, დედამ ჩვილი მეორე მკლავზე გადაისვა და ღიმილით შემომხედა. მივხვდი, რომ მემშვიდობებოდა. გავუღიმე და კუპეში ღიმილითვე შევბრუნდი.

ჩემი თანამგზავრი ახლა რატომღაც ნაღვლიანი მომეჩვენა. არა, ნაღვლიანი კი არადა, უფრო ფიქრებში წასული.

— რა შესანიშნავი ბავშვები ჰყავს ამ ქალს! — ვთქვი და მის პირდაპირ დავჯექი.

— ყველა მაგისია? — იკითხა ჩემმა თანამგზავრმა, როცა ფიქრს თავი წაართვა.

— მაგისები ყოფილან.

— ღმერთმა შეძლება მისცეს, დიდი ტვირთი უკისრია.

— დიდი და კეთილშობილი, — დავაწიე ღიმილით.

— კეთილი საქმე ყველა კეთილშობილია! — ჩამომართვა სიტყვა მხრების აზიდვით.

ჰო, მაგრამ კარგი მოქალაქის აღზრდა ჩემი ქვეყნისთვის ყველაზე საჭირო და კეთილშობილი საქმე მგონია, — ვთქვი და გავუღიმე. ამ ღიმილით მინდოდა წერტილი დამესვა ჩვენი საუბრისათვის, მაგრამ ქალმა იჭვნეული გამოხედვა შემომაგება. ისე გამოვიდა, თითქო კენჭი იმიტომ მოვიმარჯვე, რომ იმისთვის მესროლა. არა, არავინ მყავდა მხედველობაში, არც არავის გაკიცხვა მიფიქრია.

— მართალია, კარგი მოქალაქის აღზრდას, სიყვარულისა და მზრუნველობის გარდა, დროც დიდი უნდა და ენერგიაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა



— დრო ყველაფერს სჭირდება. განა მე ცოტა დრო მოვანდომე ასპირანტურას? ფოლკლორული მასალების შესაგროვებლად სოფელ-სოფელ სიარულს, სადოქტორო შრომის დაცვას?

— საკუთარი შვილების აღსაზრდელად დრო მაგიტომ აღარ დაგრჩათ?

ჩამოვართვი სიტყვა ჩემდაუნებურად.

— თქვენ წარმოიდგინეთ მაგიტომ! — მითხრა და თვალები გამისწორა, თაფლისფერი ჭკვიანი თვალები ქედმაღლურად თვითკმაყოფილების ღიმილით მომჩერებოდნენ.

ახლა კი სურვილი დამებადა ამ თვითკმაყოფილებისათვის მტკივნეულად მესროლა კენჭი.

ყველას რომ დრო ასე ხელში შემოღეოდა, მაშინ თქვენ ცარიელ აუდიტორიაში მოგიხდებოდათ ლექცების წაკითხვა, — ვუთხარი და გავუღიმე. არაფერი მიპასუხა, პორტფელიდან დიდტანიანი წიგნი ამოიღო. და გადაფურცვლას შეუდგა.

ახლა ჩვენს შორის, რატომღაც, უხერხულობის ქსელი გაიბა, კიდევ კარგი, რომ გვერდით კუპედან ლეიტენანტის ბოხი ხმა ისმოდა. სოფლური ეზოების სიხალვათეს შეჩვეული ბიჭები, ეტყობა, თავს ვიწროდ გრძნობდნენ, შვილებს წესრიგისკენ მოუწოდებდა. არჩილი მაინც თავის ქერქში ვერ ეტეოდა, ბიჭუნამ ახლა ჩვენი კუპეს კარებთან მოირბინა.

— მოდი, ზალიკო, მოდი რა გაჩვენო! — დაუძახა ძმას და მკვრივკანჭება ბიჭი ჩვენ კუპეში გასხივებული თვალებით შემოვიდა.

ქალი ღიმილით მიაჩერდა ყმაწვილს. ყმაწვილმა კი თვალი იმის წიგნს დაადგა.

— ჩვენც გვაქვს ასეთი წიგნი! — თქვა გაუბედავად წამიერი სიჩუმის შემდეგ და წინ წამოდგა.

— ასეთი წიგნია? — კითხა ღიმილით ქალმა.

— ისიც ასეთი სქელია, დედა ყოველთვის გვეუბნება, თუ არ გაჩერდებით, არ წაგიკითხავთო, ეს წიგნი მხოლოდ თქვენისთანა პატარებისთვის არის დაწერილიო.

არ ვიცი, ასე ერთბაშად ქალის სახეზე ალტაცება რას შეეძლო აენთო!

— ჰო, მართალი უთქვამს! — თქვა ქალმა და ღაღებულ კარებში ატუზულ ზალიკოს გახედა. ბუნებით მორცხვ ბიჭუნას შიგ შემოსვლა ვერ გაებედა, თუმც ცთუნება საკმაოდ დიდი იყო.

ორიოდე წუთის შემდეგ ქალს აქეთ-იქით ბიჭუნები უსხდნენ და ცხრათავიანი დევის თავგადასავალს გულისყურით უსმენდნენ.

ქალის სახეზე გამქრალიყო თვითკმაყოფილება და ისეთი თბილი ღიმილი ადგა, რომ თვალი ვერ მოვაშორე.

პატარა სადგურის ბაქანს გაუჩერებლად ჩავუქროლეთ. დევის თავგადასავალიც დამთავრდა და ბიჭებს დედამ დაუძახა.

— ახლავე, ახლავე, დედა! — შეეხმანა არჩილი.

— წადით, წადით ახლა, დედა გეძახით, ეს წიგნი კი, ჩემგან საჩუქრად გქონდეთ, — თქვა ქალმა, წიგნი დაკეცა და მის წინ გაჩერებულ შავქოჩორა არჩილს მარჯვენა მკლავის იღლიის ქვეშ ამოუდო.

გაოცებამ და სიხარულმა ბიჭს თვალები გაუსხივა.

— გმადლობთ, გმადლობთ! — თქვა ოდნავ გასაგებად დაბნეულმა არჩილმა, ძმას ხელი მოჰკიდა და თავის კუპეს მიაშურეს.

არ გასულა წუთი რომ წიგნით ხელში ბიჭუნების დედა გამოჩნდა.

— ეს წიგნი ალბათ თქვენია, ქალბატონო, აი მოუსვენრებმა შემოიტანეს.

— დიახ, ჩემია, მაგრამ მე თქვენ კარგ ბიჭუნებს ვაჩუქე, — უპასუხა სავარძლიდან აუდგომლად ქალმა.

ახალგაზრდა დედა უხერხულად მიდგა-მოდგა.

— გმადლობთ, გმადლობთ — მეტი რა მეთქმის, კიდევ გმადლობთ! — თქვა ქალმა და თვალს მოეფარა.

მატარებელმა მომდევნო ბაქანსაც ჩაუქროლა. სარკმელს ლურჯი ბინდი მოეძალა. ჩემი თანამგზავრი დერეფანში გავიდა. ნახევრად შეხსნილ ფანჯრის წინ გაჩერებულ ქალს გრილი ნიავი უწეწავდა თმის წაბლისფერ ბწკალებს. მაინც სარკმელთან იდგა და გვერდითა კუპეს ღაღებულ კარებს დროდადრო გახედავდა. ალბად ხედავდა: ზალიკო და არჩილი თავფეხშექცევით ქვედა საწოლზე რომ დააწვინეს. ვიდრე ჩვილი ძილს ინებებდა, მამას მხარზე უჯ-

 მხატვარი ნანა მესხიძე

და. ზედა საწოლზე გაშოტილი გოგონა პაწიას ხან ულიმოდა, ხან მაჯაზე ხელს უთათუნებდა.

ფანჯარას უკვე ღამე მოსდგომოდა და, ხნულში გაფანტული თესლივით, სოფლებიდან ბლუჯა-ბლუჯა ელნათურების სხივები კრთოდნენ.

ჩემი თანამგზავრი კუპეში ახლაღა შემოვიდა. ვიგრძენი, მისი ყურადღება ბავშვებს მოეტაცნა და რატომღაც მესიამოვნა, თუმცა ფიქრებში წასულს სინანულის იერი დაჰკრავდა.

არ გამიგია, ღამემ როდის აიკრა გუდანაბადი და ამომავალი მზის შიშით ცხრამთას იქით გადაიკარგა. მე და ჩემ თანამგზავრს, ქალაქის მისადგომებთან გამოგვეღვიძა. ხალხი უკვე წამოშლილიყო. ყმაწვილების ხმაც ისმოდა.

ფანჯრის წინ მიჰქროდა ქალაქის ხედი, სათადარიგო ჩიხში გამწკრივებული ვაგონები გარბოდნენ.

— მოვსულვართ! — ვთქვი და ჩემ თანამგზავრს დილა მშვიდობისა ვუსურვე. საწოლზე წამომჯდარმა გამიღიმა და ქალაქის გარეუბნებს გახედა.

— ჩავიცვა თორემ, სადგურზე ალბად უკვე მელოდებიან.

— თქვენ ხომ დღისით აპირებდით ჩამოსვლას, და მაინც შეგხვდებიან?

— როცა არ უნდა ჩამოვიდე, სადგურზე მაინც მხვდებიან.

ჩვეულება მუდამ ხანდაზმულია, ხანდაზმული ადამიანი კი, ცხოვრების შინაარსს იმაში ხედავს, რასაც მიჩვეულია,—ან რად მიკვირს, რომ ამ მშვენიერი ქალის შეხვედრა ვინმეს ახარებდეს? — გავიფიქრე და ჩემ თანამგზავრს მივაჩერდი.

ქალის თვალებიდან თვითკმაყოფილების განწყობილება იხედებოდა. რატომღაც არ მესიამოვნა და თვალი ავარიდე.

მატარებელმა უკვე ჩაიქროლა ქალაქის მისადგომებში და სადგურის ბაქანთან გაიბაწრა. ხალხს ბაქანი აევსო და ვინ ვის ეგებებოდა.

კარები გამოვაღეთ. ქუთათური შემოდგომის თბილი ჰაერი მოგველაციცა.

გვერდითა კუპედან გამოსული შავნაწნავა გოგონა, ზალიკო და არჩილი, ფანჯარას აჰკროდნენ. ბიჭებს, სახელდახელოდ მობანილი ცხვირპირი მინაზე მიედოთ და ნახევრად შეხსნილ ფანჯარაში ნაბდის ქუდებს იქნევდნენ.

— ეგერ, მამიდა და ძია ნიკო, ბებოც მოსულა! — იძახდა გახარებული არჩილი. ზალიკომ კი, ეტყობა მახარობლად მშობლებთან მისვლა იფიქრა. უეცრად შემობრუნდა და ღია კარებში გაჩერებულ ჩემ თანამგზავრს შეეფეთა. გუშინდელი ქალი, ეტყობა, ყმაწვილს გულში ჩარჩენოდა.

— თქვენც ჩვენთან მოდიხართ? — შეეკითხა ქალს ბიჭუნა მორცხვად.

— თუ წამიყვანთ, წამოვალ, — მიუგო ღიმილით ქალმა.

— ახლავე, ახლავე ვეტყვი დედას! — თქვა და ვიდრე დის გაოცებას შენიშნავდა, კუპეში შევარდა.

ბაქანზე ერთად გადმოვედით. დამხვდურებმა ბავშვები დაიტაცეს, ჩვენს ირგვილ ხალისიანი ჟრიამული ატყდა.

მამიდამ ჩვილი ჩაიკრა გულში და დიდედასთან მოსაუბრე ახალგაზრდა დედასთან ერთად გასასვლელისაკენ გაემართნენ. ქალები ცდილობდნენ ბარგის მზიდველთან ერთად დაწინაურებული ლეიტენანტი მხედველობიდან არ დაეკარგათ. არჩილი და ზალიკო კი, ძია ნიკალას ისეთი ხალისიანი საუბრით მოჰყვებოდნენ, თითქო მთელი ბაქანი იმათი იყო.

ჩემ თანამგზავრს ახლაღა გავუსწორე თვალი, თუმცა ერთმანეთს შორიდან დავემშვიდობეთ, მაგრამ მის თვალებში ფიქრებში წასული სინანული ამოვიკითხე.

ბაქანზე ქალს შუახანს გადაცილებული მელოტი მამაკაცი შემოეგება, მცირე ხელბარგი ჩამოართვა და გზას საუბრით დაადგნენ.

ქალი ღიმილით მიანიშნებდა მრავალშვილიან ოჯახზე და მარტოობისთვის განწირულს სახიდან სინანულის იერი არ შორდებოდა.

# ყოველ მაისს, ვარდობისას...



ხონია ჯაფარიძე შვილიშვილებთან ერთად

1941 წლის 22 ივნისს გამთენიისას დაბომბვის შემზარავმა ხმამ შესძრა მათი მყუდრო ბინა. ვალერიანმა სამხედრო გიმნასტურა გადაიცვა და ნაწილში გავარდა. სისხლის ნიაღვარს მიჰქონდა სმოლენსკის ქუჩა, ფაშისტ დამპყრობლებს უმოწყალოდ დაეცხრილათ სამსახურში მიმავალი ხალხი... ის დღე სარდაფში დაალა-

მეს. საღამოს მეუღლის ბარათი მიიღო სონიამ — „ეცადეთ საქართველოსაკენ წახვიდეთ“... მეორე დღეს სატვირთო ავტომანქანამ ცეცხლმოდებული ქალაქიდან გაიყვანა საბჭოთა სამხედროების ოჯახის წევრები, მათ შორის სონიაც იყო ბავშვით.

ტანჯვა, წამება, ენით აუწერელი საშინელება გამოიარეს იმ დღეებში. თვითმფრინავებმა მანქანა დაბომბა, სასწაულით გადაურჩა დედა-შვილი მტრის ტყვიას. პურის ყანებში ათევდნენ ღამეს, ტყე-ტყე მიიკვლევდნენ გზას. გადამწვარი იყო უკრაინა. უპატრონოდ მიტოვებული სოფლები და პირუტყვი ხვდებოდათ გზა-გზა. თავად გაჭირვებული მოსახლეობა გამოქცეულებს ლუკმას უნაწილებდა... ერთ-ერთი დაბომბვის დროს დაიჭრა სონია. რამდენ ხანს იყო უგრძნობად არ ახსოვს. თვალები გაახილა თუ არა, ნოდარი მოათვალიერა. ვიღაც სამხედროს ნოდარი მუხლებზე დაესვა და ძლივს აწყნარებდა. როგორც იქნა წამოდგა ქალი, გასიებული, ნაჭრილობები ფეხი ძლივს აითრია, ბავშვამდე მიაღწია.

დასუსტებულებმა, დაძონძილებმა ძლივს ჩამოაღწიეს თბილისში (ქობულეთის ქუჩაზე იყო სონია აფციაურის მამისეული ოჯახი).

ცოტა რომ მოიკეთა, სონიამ ქობულეთს მიაშურა. აქაც ნერვიულობა და დარდი შეხვდა. სამხედროდან დემობილიზაციის შემდეგ გარდაიცვალა მაზლი. რძალმა ორი შვილი დატოვა და გათხოვდა. ვალერიანის წერილები ასულდგმულებდა რძალ-დედამთილს, მერე ისინიც შეწყდა და კომისარიატიდან აცნობეს, ვალერიან ჯაფარიძე უგზოუკვლოდ დაიკარგაო.

შვილის ლოდინში ჩაელია დედას დღეები.

სულით არ დაეცა ჯაფარიძეების რძალი. ქალმა მაზლიშვილებიც გაზარდა, ქვრივმა ოჯახს უპატრონა, ახალი, ორსართულიანი სახლი წამოჭიმა. ნოდარმა ცოლი შეირთო, მისი მეუღლე მერი ანანიძე ქალაქის № 4 საშუალო სკოლის დირექტორია. თავად ნოდარი ავტოსატრანსპორტო საწარმოს მოწინავე მძღოლია. ქალბატონი სონია ქობულეთში ჩამოსვლის დღიდან ბავშვთა სანატორიუმ „თოლიას“ დიასახლისია და ყოველთვის მღელვარებით ელის მაისს... მთავარმა ექიმმა ტატიანა სირაძემ ბრძანება მიიღო, რომ დიასახლისად ექთანი უნდა მუშაობდესო. არაფერი გაუმხელია სონიასათვის, ისე წავიდა თბილისში, ზემდგომ ორგანოებს მიაკითხა: სანამ ეს ქალი იქნება, იმუშავებს ამ ადგილზე, მერე კი... მერე შევასრულოთ ეს ბრძანება, ქალმა სამამულო ომში დაკარგა მეუღლე, იმდენი ტანჯვა-წამება გამოიარა, შვილები დაზარდა... არ მაქვს უფლება მას გული ვატკინოო. ქალბატონ ტატიანას სიტყვას კი საკმაო წონა და ფასი აქვს. თავადაც ხომ იმ ქარცეცხლიანი დღეების მონაწილეა. ვინ იცის, საკუთარი სიცოცხლის ფასად ექიმმა ქალმა რამდენ მებრძოლს შეუნარჩუნა ჯანმრთელობა...

ლია გრძელიძე

# ტოტი დალ მონტე

გამოჩენილმა იტალიელმა მომღერალმა და ვოკალის თეორეტიკოსმა ჯაკომო ლაური-ვოლპიმ თავის შესანიშნავ წიგნში „პარალელური ხმები“ შეიტანა ისეთი მომღერლები, რომელთაც დიდი კვალი დატოვეს ვოკალური ხელოვნების ისტორიაში. ტოტი დალ მონტეც სწორედ ერთი იმათგანია. მარტო ის რად ღირს, რომ იგი „გრანდე ბარბიერედ“ (დიდ სევილიელად) წოდებულ სპექტაკლში, რომელსაც თვით არტურო ტოსკანინი დირიჟორობდა, მხარს უმშვენებდა სიმღერის კორიფეებს — თედორე შალიაპინს, ტიტო სკიპას და სხვებს. ვფიქრობთ, ქართველი მკითხველი ინტერესით გაეცნობა ამ დიდებული მომღერალი ქალის დახასიათებას, რომელსაც ჯაკომო ლაური-ვოლპის წიგნში (იგი იტალიურიდან თარგმნეს ედიშერ გიორგაძემ და დარეჯან კიკალეიშვილმა) ჯეროვანი ადგილი უჭირავს.

ნოდარ ანდღულაძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

ტოტი დალ მონტე აღმოაჩინა არტურო ტოსკანინიმ „ლა სკალაში“, ცნობილი შვიდწლეულის (1922-1929) ხანაში, რის შემდეგაც ეს მომღერალი ლირიკული ჟანრიდან გადავიდა მსუბუქ რეპერტუარზე და დაახლოებით 10 წლის მანძილზე მთელ იტალიაში ითვლებოდა ყველაზე პოპულარულ ხმად. მისმა პოპულარობამ იქამდე მიაღწია, რომ მას არათუ გვარით, მხოლოდ სახელით ახსენებდნენ. მას შეწონილ-შეზომილი ჰქონდა თავისი სასიმღერო შესაძლებლობა. ტოტი დალ მონტემ კარგად უწყოდა, რომ არ ძალუძდა ამოეფრქვია ვოკალური შადრევანი და აეზიდა ზემაღალი ნოტები. მას იმდენად კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რაც სურდა და რაც შეეძლო, რომ, როდესაც ტოსკანინიმ სთხოვა სასინჯად ემღერა („ძვირფას სახელში“), პასუხისთვის არც დაფიქრებულა: „მაესტრო, იცოდეთ, შუა არიამდეც ვერ მივაღწევ, თქვენი სურვილისამებრ რომ ვიმღერო“, — განუცხადა დირიჟორს. ტოსკანინიმ არაფერი თქვა, მიუშვა თავის ნებაზე ჯილდასა და რიგოლეტოს დუეტში, ოღონდ აღადგინა ის კუპიური, რომელიც იწყება სიტყვებით: „მაღლა ცაში, ღმერთთან ახლოს, ანგელოსი გვმფარველობს“. „ლა სკალაშიც“, 1922-23 წლების სეზონში, ამ ოპერის ტოსკანინისეულ დადგმაში, ტოტი დალ მონტემ მსმენელთა ყურადღება მიიპყრო არა ჯილდას მთელი არიის, არამედ სწორედ ამ ფინალური ფრაზის შესრულებით, რომელსაც საზოგადოება მანამდე არ იცნობდა. ძნელია თქმა, ამის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეზი მუსიკის სინატიფე გახლდათ თუ მომღერლის ხმის სინარნარე, ეს კი იყო, რომ დარბაზში არიის ბოლოს ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდით. მერე კი ატყდა მაყურებლის ალტაცებისა და გაოცების გამომხატველი ტაშის გრიალი. მართალი რომ ვთქვათ, თუკი ეს ვენეციელი მომღერალი ქალი უკუაგდებდა თავის მანერას და მიმართავდა ფონაციის სხვა ხერხს, ვერა და ვერ გაუძლებდა ვერდის ოპერის პარტიტურას, როგორც ეს დაემართა 1954 წელს ამავე თეატრში, ამავე ოპერის წარმოდგენისას ერთ ლირიკულ სოპრანოს, რომელმაც ამით ცხადჰყო, რომ ჯერ კიდევ არც საკუთარ ხმას იცნობდა და არც მუსიკის ტექნიკურ სიძნელეებს. ტოტი დალ მონტემ თავად გამოძერწა თავისივე ხმა, ღრმად ჩასწვდა ჯილდას ხასიათს და შესძლო ბგერებითა და ფრაზებით გადმოეცა ამ პერსონაჟის სისპეტაკე და მიამიტობა. იგი ტკბებოდა ჯილდას ამ თვისებებით და ღიმილით გამოდიოდა სცენაზე, გეგონებოდათ მსმენელს ამცნობს, ახლა ნახავთ, თუ როგორ იმღერება ეს ნაწყვეტიო. ის ისეთ ვოკალისტად იქცა, რომლის თითქოსდა ჭედურობისდარი სიმღერა სხვაში არასგზით აგერეოდათ. ამის მიზეზი კი გახლდათ დამორჩილებული სუნთქვა, მკვეთრი დიქცია და ხმის მიმოხვრის ილეთების ცოდნა. დროთა მანძილზე მომღერალმა მიატოვა მსუბუქი რეპერტუარი, რათა დაბრუნებოდა „ლოდოლეტას“ ანდა „ბატერფლაის“. ანდანტეებსა და ადაჟიოებში უფრო ვლინდებოდა ამ მომღერლის სულის სწრაფვა და მისი გავლილი ვოკალური სკოლის მონაპოვარი.

ტოტი დალ მონტეს ბგერა არ გამოირჩეოდა სიკაშკაშით, ოღონდ მას არც მქრქალი ეთქმოდა. ვოკალისტი სრულად არ იყენებდა დიაფრაგმის საყრდენს, ანდა ნიღბის მაგვარ რეზონატორებს. მისი ხმა მოგაგონებდათ იმ ვერტიკალს, რომელიც სადაცაა დაკარგავს წონასწორობას. სიმღერის დროს ტოტი დალ მონტეს ოდნავ უკან ჰქონდა თავი გადახრილი და პირით მკაფიოდ მარცვლავდა სიტყვებს, თითქოსდა ახდენდა ერთგვარ სკანდირებას, რაც მოგაგონებდათ ალესანდრო ბონჩის ფრაზირებასა და მარკიზიოს სკოლის ხერხებს, რომლის მოწაფეც ტოტი გახლდათ. როდესაც შეიცნო საკუთარი ფიზიოლოგიური წყობა და იგრძნო, რომ მისი ხორხის ხრტილები გაუხეშდა, ტოტიმ გადაწყვიტა ხელი აელო იმ სპექტაკლებზე, რომლებმაც მის მქრქალ ხმას სიმდიდრე და სახელი მოუხვეჭა მთელ იტალიასა და ავსტრალიაში.

ამ სტრიქონების ავტორმა მონაწილეობა მიიღო „ლა სკალასთან“ ერთად ტოსკანინის მიერ ბერლინში დადგმულ სპექტაკლ „რიგოლეტოში“. მანვე ამავე ოპერაში ტოტი დალ მონტესთან ერთად იმღერა „მეტროპოლიტენისა“ და ბუენოს-აირესის კოლონის სცენებზე. ასე რომ, საშუალება ჰქონდა შეეცნო ტოტი დალ მონტეს ხმის განსაკუთრებულობა და თვალყური ედევნებინა მისი ევოლუციისათვის.

## ჩვენი ისტორიული ძეგლები



# „აღაშენა ასულმან აღმაშენებლისამან...“

სახელოვანი მეფის დავით აღმაშენებლის ასულმა თამარმა, რომელიც შირვან-შაჰზე იყო გათხოვილი, დაქვრივების შემდეგ უარყო შირვანის დედოფლის პატივი და საქართველოში გამოემგზავრა. აქ დედოფალყოფილმა ქრისტეს ჯვრის სავედრებლად 1152 წელს სოფელ თიღვას ტაძარიააგო, მონაზვნად აღიკვეცა და მამულზე ფიქრსა და ლოცვაში დაასრულა თავისი სიცოცხლის დარჩენილი დრო.

თიღვის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი მდებარეობს მდინარე ფრონეს თვალწარმტაცი ხეობის მარჯვენა ნაპირზე, ზნაურის რაიონული ცენტრიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით.

თავის დროზე თიღვა დიდი სამონასტრო ანსამბლი იყო, რომელსაც ირგვლივ მტკიცე ბურჯებით გამაგრებული ქვითკირის გალავანი ჰქონდა შემოვლებული. გალავანს სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები (მარანი, ზეთსახდელი...) და საცხოვრებელი სადგომები ეკვროდა. გალავნის შიგნითაც მრავალი ნაგებობა მდგარა; ჩრდილოეთით ყოფილა მეფის ასულისა და ტაძრის ქტიტორის — თამარის სასახლეც. სასახლე კიბით პირდაპირ იყო დაკავშირებული ტაძრის მეორე სართულზე მოწყობილ პატრონიკესთან, სადაც თამარი მღვდელთმსახურების დროს იმყოფებოდა ხოლმე.

ამჟამად სამონასტრო შენობათა მხოლოდ მცირე ნაშთებილაა შემორჩენილი. ჩვენამდე, შედარებით სრული სახით, მხოლოდ მთავარმა ტაძარმა მოაღწია.

თიღვას ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა, რომელსაც გარკვეული მიზეზების გამო ბევრი ორიგინალური მხარე აქვს და ამდენად ცენტრალურ-გუმბათოვან ნაგებობათა ტიპობრივი სახე არ არის.

ტაძარი ნაწილობრივ ორსართულიანია — მეორე სართული შენობას მხოლოდ დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხარეს აქვს. დასავლეთით მოთავსებულია პატრონიკე (ხელისუფალთა სადგომი მღვდელთმსახურების დროს). იქ შესვლა შეიძლებოდა ჩრდილოეთით დატანებული კარიდან, რომელსაც ამკობს დეკორატიული ასომთავრული ქტიტორული წარწერა, სადაც მოხსენებულია დავითის ასული თამარი.

პატრონიკეს მოპირდაპირე აღმოსავლეთის მხარეს, პირველ სართულზე მოთავსებულია სადიაკვნე და სამკვეთლო, ხოლო მეორე სართულზე, სამალავები ანუ „საიდუმლო“ ოთახები. სამალავებში მოსახვედრად სარგებლობდნენ გვირაბით, რომელშიც მხოლოდ ხოხვით შეიძლება გასვლა; ეს გარკვეული მოსაზრებით იყო გაკეთებული: რადგან ძნელად მისაღწევ საიდუმლო ოთახებში საეკლესიო ძვირფასეულობა ინახებოდა.

ტაძრის შიდა სივრცეს ჰარმონიულად ერწყმის და დიდებულებას ჰმატებს თორმეტსარკმლიანი გუმბათის ყელი.

ტაძრის სარკმელში დღესაც შემონახული ფრესკული მხატვრობის ნიშნები ნათელს ხდის, თუ რაოდენ მშვენიერი იყო ტაძრის ინტერიერი.

ნაგებობა გარედან ძუნწად არის შემკობილი ჩუქურთმებით. ალბათ ნიჭიერმა და გამოცდილმა ხუროთმოძღვარმა გაითვალისწინა დამკვეთის ასკეტური განწყობა.

ძეგლი მრავალგზის არის დაზიანებული, მაგრამ ჩვენს დროში მაინც გახდა შესაძლებელი მისი მეცნიერული შესწავლა და უკანასკნელ პერიოდში სარესტავრაციო სამუშაოების შესრულება.

ირაკლი ზაქარიაშვილი



სახ. სახ. ...
ბიბლიო...



ბორის სიხარულიძის ფოტო

# სიხარულის წუთები

1979 წლის 31 დეკემბერს პირველად ჩართო მიკროფონი და ყველა ოჯახს ეწვია კეთილ მეკვლედ ეთერში გაგზავნილი სიტყვებით: „გილოცავთ ახალ წელს“.

როგორც თავად იგონებს, იმ წუთებში საჭირო იყო მაქსიმალური მობილიზება, — უშუალობა, ერთგვარი სითამამე და სადღესასწაულო, ამაღლებული ტონის შენარჩუნება. დებიუტმა წარმატებით ჩაიარა. მას შემდეგ თითქოს „გაუთამამდა“ მიკროფონს, მაგრამ დღესაც, როდესაც სტუდიაში შედის, შინაგანად მაინც ღელავს, რასაც მსმენელები ვერასოდეს ამჩნევენ.

25 წელია საქართველოს რადიოში მუშაობს ნუცა ერისთავი. ამ ხნის მანძილზე ბევრჯერ ჰქონია სასიხარულო წუთები, ზოგჯერ წარუმატებელი დღეებიც. — თავდაპირველად კორესპონდენტად დაიწყო მუშაობა, შემდეგ რედაქტორად გაცვლით გადაცემების რედაქციაში და ბოლოს დიქტორია.

ვინ მოთვლის ამ ხნის მანძილზე რამდენი რეპორტაჟი, ინტერვიუ, ნარკვევი, ჩანახატი, კინოსცენარი და ინფორმაცია მოუმზადებია მაღალპროფესიულ დონეზე. აღსანიშნავია, რომ მისი ინიციატივით აჟღერდა ეთერში რადიოჟურნალი „მეგობრობა“ მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების მშრომელთათვის. მის მიერ მომზადებულ სიუჟეტებს კარგად იცნობენ მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ლვოვში, ტალინში, პრაღაში, ბუდაპეშტში, ვარშავაში.

ჟურნალისტ ნუცა ერისთავის მიერ მომზადებული მასალები არაერთხელ აღნიშნულა ჯილდოებით, მადლობებითა და წამახალისებელი პრემიებით. თავის დროზე იგი ნაყოფიერად თანამშრომლობდა საკავშირო რადიოს პროგრამა „იუნოსტში“. 1973 წლის საუკეთესო ნარკვევებისათვის საკავშირო ჟურნალისტთა კავშირის მეორე პრემია დაიმსახურა. სახალხო მეურნეობის მიღწევათა საკავშირო გამოფენის მადლობით აღინიშნა გადაცემათა სერია „ჩემი რესპუბლიკის რიტმი“, — ხოლო ციკლი „ყრილობიდან — ყრილობამდე“ საკავშირო და რესპუბლიკური ტელერადიო კომიტეტების მადლობით.

როცა ამ მასალას ვამზადებდი, მის სამუშაო მაგიდაზე უამრავი საქაღალდე შევნიშნე, ერთ-ერთმა ჩემი ყურადღება მიიქცია — ეს ჩემი მომზადებული მასალებია, რომლებიც ასახავენ რესპუბლიკის სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა საქმიანობას, ფიქრებს, ხასიათებსა და მისწრაფებებს, ოდესმე ყველაფერ ამას ერთ წიგნად გამოვცემ — გამიმხილა საიდუმლო ნუცამ.

როგორც უკვე ვთქვით, იგი წლების განმავლობაში რედაქტორობდა რადიოჟურნალ „მეგობრობას“. რამდენი ადამიანი, შრომითი კოლექტივი დაამეგობრა, ჩააბა ურთიერთსოციალისტურ შეჯიბრებაში, ერთმანეთს შეახვედრა ომისა და შრომის ვეტერანები. სწორედ ამ ჟურნალის ნაყოფიერ მუშაობაზე წერდა 1978 წლის 1 მარტს გაზეთი „პრავდა“ თავის მოწინავეში „პასუხისმგებლობა მსმენელების წინაშე“, სადაც ნათქვამია: „ამიერკავკასიის რესპუბლიკების რადიოჟურნალ „მეგობრობის“ გადაცემებში დასმულია სერიოზული პრობლემები მუშაობის გამოცდილებაზე...“.

თავის ძირითად საქმიანობას ნუცა წარმატებით უთავსებს საზოგადოებრივ შემოქმედებით მოღვაწეობასაც. ალბათ, ბევრ თქვენგანს ემახსოვრება თეატრალიზებული კომპოზიცია „მუსიკა, პოეზია, მხატვრობა“, რომელსაც უძღვებოდა ნუცა ერისთავი. ამის შესახებ გულთბილად აღინიშნა გაზეთებში: „სოვეტსკაია კულტურაში“, „ნედელიაში“, „ვეჩერნი ტბილისში“, ჟურნალ „სოვეტსკაია მუზიკაში“. იმათ კი, ვინც ესწრებოდა შარშან საქართველოს პროფკავშირთა სასახლეში ომის ვეტერანთა შეხვედრას — „მთელი გულით“, დიდხანს არ დაავიწყდებათ იმ საღამოს წამყვანი ნუცა ერისთავი.

როგორც საქართველოს რადიოს სხვა წამყვანი დიქტორები, ნუცაც უამრავ წერილს იღებს რადიომსმენელებისაგან. ისინი ულოცავენ დღესასწაულებს, მიმართავენ რჩევისათვის. და ისიც არცერთ მათგანს უპასუხოდ არ ტოვებს.

ნუცას ოჯახიც სანიმუშო აქვს, ორი ვაჟიშვილის დედაა, სტუმართმოყვარე დიასახლისი და კარგი მეუღლეა. კახა და ნუკრი საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები არიან.

— ესენი არიან ჩემი იმედი და სიამაყე, — მითხრა ნუცამ, — ვცდილობ მათ ჩავუნერგო ყველა ის საუკეთესო თვისება, რაც ჩემი მშობლებისაგან მემკვიდრეობით მივიღე: თავმდაბლობა, წესიერება, შრომისმოყვარეობა, კეთილშობილება.

განსაკუთრებული სიამაყით მაჩვენა მადლობის წერილი სამხედრო ნაწილიდან, სადაც უმცროსი ვაჟი სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა.

ამ ცოტა ხნის წინათ ნ. ერისთავი დაჯილდოვდა მედლით, „შრომის ვეტერანი“.

თეიმურაზ მორგოშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახელოვანი სპორტსმენი





# ლენა გოკიელი

ამას წინათ მოსკოვიდან საქმიანი ვიზიტით ჩამოსული იყო თბილისის მოტრფიალე კინოდრამატურგი, ლენინური პრემიის ლაურეატი იგორ იცკოვი. გულითადი საუბრის დროს ქართველ გამოჩენილ ადამიანებს შორის განსაკუთრებული ინტერესით მოიკითხა და ბევრი ქება-დიდება შეასხა ყველასათვის ცნობილ ლენა გოკიელს, რომლის სპორტული წარმატებების მოწმე თვითონაც ყოფილა.

რა თქმა უნდა, თვითეულ ჩვენთაგანს გამოცდილი გვაქვს, თუ რა სიამაყისა და სიხარულის გრძნობა გეუფლება, როცა მამულიშვილს გიქებენ. დიახ, იცნობენ და აქებენ საქართველოში, რუსეთში და მის საზღვრებს იქითაც საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონს სიგრძეზე ხტომაში, მსოფლიოსა და სსრ კავშირის ექს-რეკორდსმენს 80 მეტრზე ბარიერით სირბილში და ევროპის ორგზის პრიზიორს. ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კათედრის გამგე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, დოცენტი ელენე გოკიელი ახალგაზრდული შემართებითა და ენერგიით არის სავსე. თბილისის ქუჩებში საკუთარი ავტომანქანის საჭესთან მჯდომი თუ ფეხით მოსიარულე იგი დღესაც ხიბლავს შემხვდურებს.

ლენა გოკიელის ცხოვრების გრძელი და შინაარსიანი გზა საინტერესო მომენტებით არის სავსე. 1935 წელი იყო. ამიერკავკასიის სატრანსპორტო-საინჟინრო ინსტიტუტის 1-ლი კურსის სტუდენტი, მაღალი, მოხდენილი, კინომსახიობივით ლამაზი სახის გოგონა, სულგანაბული ადევნებდა თვალს შეჯიბრებას უმაღლესი სასწავლებლების მძლეოსანთა საქალაქო პირველობაზე. „ზიპს"-ის ინსტიტუტიდან მონაწილე არავინ იყო. უფროსკურსელებმა მ. ცხვედაძემ და ა. ოჩიგავამ, რომელნიც შეჯიბრებას უძღვებოდნენ, ასეთი აზრი გამოთქვეს: თვალციმციმა ლენა, რომელიც ქარზე უსწრაფესად დარბოდა ინსტიტუტის კიბეებსა და ეზოში, ახლავე გამოეყვანათ სარბენ ბილიკებზე მონაწილეობის მისაღებად. ეს სათვალავისათვის იყო საჭირო, წარმატებებზე კი არც უფიქრიათ. ბუნებაში ასეა, — თვითნაბადი სიმდიდრე იშვიათად იპოვება. ლენას სახით ეს დღეც იშვიათი თვითნაბადი სიმდიდრის აღმოჩენას ჰგავდა. ფანტასტიკა სინამდვილედ იქცა და მოხდა ის, რომ ამ შეჯიბრების რვა სახეობიდან შვიდში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო 800 მეტრზე სირბილში საქართველოს რეკორდი დაამყარა. ამ გამარჯვებამ სამუდამოდ დააკავშირა იგი დიდ სპორტულ ცხოვრებას.

ბევრი რამ აქვს ლენას წარსული ცხოვრებიდან მოსაგონარი. ჩვენი ქვეყანა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15-ე წლისთავს ზეიმობდა. თბილისელმა მძლეოსნებმა ამ თარიღს თავიანთი შეჯიბრება მიუძღვნეს, რომელშიც ლენამ საკავშირო რეკორდი დაამყარა (სამხტომში 7 მ. 56 სმ). ეს მართლაც დიდი გამარჯვება იყო. თუ რა მოუტანა ამ გამარჯვებამ, ამას ვკითხულობთ სიძველისაგან გაყვითლებულ გაზეთის ამონაჭერზე. მისი გაღიმებული პორტრეტის ქვეშ დაბეჭდილია სიტყვა, რომელიც ფიცის დადებას უფრო ჰგავს: „1936 წლის 5 მარტი უბედნიერეს დღედ დარჩება ჩემთვის. მოსკოვს გაემგზავრება საქართველოს რჩეულ შვილთა რიცხვში, საუბარი იოსებ ბესარიონის ძე სტალინთან, დაჯილდოება „საპატიო ნიშნის ორდენით". ყოველივე ეს სტიმულს მაძლევს და მავალებს სისტემატურად ვიმუშაო, ვიყო სწავლის ფრიადოსანი, ვიბრძოლო გამარჯვებებისა და ახალ-ახალი რეკორდებისათვის. ასევე მოვუწოდებ ჩემი ინსტიტუტის ფიზკულტურელებს — იყვნენ უკეთესზე უკეთესი სპორტსმენები საბჭოთა კავშირში. ე. გოკიელი".

გამარჯვების მოპოვება, ფინიშთან ყველაზე ადრე მირბენა არასოდეს ყოფილა იოლი. მაგრამ სწავლის ფრიადოსანს შრომისა და ვარჯიშის დიდი ნებისყოფა და სიყვარულიც აღმოაჩნდა. კვარცხლბეკზე შემდგარ გამარჯვებულ ლენას წარმატებებს მსოფლიოს ყველა კუთხე მოუხიბლავს. ოცი წლის განმავლობაში საქართველოში მეტოქე არ ჰყოლია 80 მეტრზე თარჯრბენში. და ყველა ოქროს მედალი მისი ხვედრი იყო. ნოდარ გუგუშვილმა კი ქალბატონ ლენას ასეთი შეფასება მისცა: ამგვარ უნივერსალურ მძლეოსანს ჩვენი სპორტის ისტორიაში სხვას ვერ ნახავთ, ხუმრობაა ოცი წლის მანძილზე 47 შესწორება შეიტანო საქართველოსა და ამიერკავკასიის რეკორდების ცხრილში და ერთნაირი წარმატებით ირბინო 100, 200, 400, 800 მეტრზე? მას ბრწყინვალე შედეგები ჰქონდა სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, ყველა სახის ესტაფეტებში, სამხტომში და, რა თქმა უნდა, თავის საყვარელ თარჯრბენში. იგი საბჭოთა კავშირის რეკორდსმენიც იყო და ჩემპიონიც".

ქალბატონ ლენას მრავალი ჯილდო აქვს: 26 ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედალი, სხვადასხვა წარმატებებისათვის მოპოვებული. უძვირფასესი ლარნაკები და სხვადასხვა სამახსოვროები. მას კი ყველაზე ძვირფასად „საპატიო ნიშნის" ორდენი მიაჩნია, რომელიც 17 წლის ქალიშვილს სწავლასა და სპორტში მოპოვებული გამარჯვებისათვის გადაეცა. ლენამ თბილისის რკინიგზის სატრანსპორტო ინსტიტუტი, შემდეგ კი ფიზკულტურის ინსტიტუტიც წარჩინებით დაამთავრა. ეს ერთხელ კიდევ მეტყველებს სპორტის სიყვარულსა და პატივისცემას. ამ სიყვარულით შეადგინა მან მეტად სერიოზული, სქელტანიანი წიგნი „გამოკვლევები მძლეოსნობის განვითარებაში 1917-1977 წლამდე".

ქალბატონი ლენა საქმეში მომთხოვნი და პრინციპულია, ამიტომ არის უნივერსიტეტის სტუდენტ ახალგაზრდობისაგან ავტორიტეტითა და პატივისცემით გარემოცული. ის ერთი იმ ბედნიერთაგანია, რომელთაც სიცოცხლეშივე მოიპოვეს აღიარება. ქ. თბილისში ლენა გოკიელის სახელობის „ჯანმრთელობის კლუბი" დაარსდა, სადაც ადამიანები სისტემატურად ვარჯიშობენ და კაჟდებიან.

დასანანია, რომ დღეს გულსაც აკლია და ჩვენ ქალაქსაც ადრე წასული მისი მეუღლე, ყველასათვის ტკბილ-მოსაგონარი ივანე გვინჩიძე.

ოჯახი კი მაინც დიდი აქვს — მისი კარგად აღზრდილი ვაჟიშვილის, გურამისაგან გამრავლებული. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ყმაწვილკაცობაში დედის კვალს გაჰყვა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა თარჯრბენში (110 მ). ბებოს შვილიშვილებისათვის ლენა და ივანე დაურქმევია. მეცხრეკლასელი ვანიკო ოჯახის ტრადიციას არ ღალატობს, ქ. თბილისის ჩემპიონია მძლეოსნობაში (100-200 მ.) კიდევ მრავალჯერ გამეორებულიყოს ეს სახელები სიკეთის მომტანად გვინჩიძეებისა და გოკიელებისათვის.

დამანა მდივნიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რედაქციაში მოვიდა წერილი

# ასეთი „ვაი—სახლები?“



ლ. იაკობიშვილის ფოტოები

გასულ წლებში თბილისს მრავალი სახლი შეემატა. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ის არის, რომ ბევრი მათგანი დიდი ხარვეზებით აიგო, ზოგიც ისე ჩააბარეს ხალხს — მოუმთავრებელი. ამიტომაც გრძელდება მოსახლეობის სამართლიანი საჩივარი...

„ყოველ ადამიანში ახალი ბინა უნდა იწვევდეს სიხარულსა და არა სიმწარეს და გაჭირვებას — გვწერს თბილისელი მოქალაქე იზა აგიაშვილი, — 1980 წლის მაისში ბინა მომცეს გლდანის მასივის მე-3 მიკრორაიონში, მე-8 ბ კორპუსში. ბინა თავიდანვე დანგრეული იყო, ტექნიკურად გაუმართავი, სანტექნიკა, ელექტროგაყვანილობა მოშლილი. ამ ბინას ჩემ სიცოცხლეში ვერ მოვაწესრიგებ, რადგან ვარ მარტოხელა, მეუღლესთან გაცილებული. მყავს ორი მცირეწლოვანი შვილი....“ შემდეგ ი. აგიაშვილი ჩამოთვლის იმ უსიამოვნებებს, რასაც ბინის გამო განიცდის — რომ არ არის არც ცივი წყალი, არც ცხელი (იგი მე-8 და მე-9 სართულებამდე ვერ აღწევს), გათბობა, რომ ცუდად მუშაობს ელექტროქურა, რომ ზამთარში მისი ბინა საყინულეა და მასთან თაგვების, ვირთხების და ბუზების ბუდე, რომ... ერთი სიტყვით ამ ბინაში ცხოვრება კი არა, უბრალოდ გაჩერებაც არ შეიძლება. იგი რედაქციას დახმარებას სთხოვს.

მოგეხსენებათ, თვალით ნანახი ყველაზე უტყუარია — ჩვენც იზა აგიაშვილს ვეწვიეთ და ვნახეთ ბინა, რომელიც მართლაც სავალალო მდგომარეობაშია, თუმცა წერილი კი ცოტა გამუქებული გვეჩვენა. წყალი საერთოდ არა გვაქვსო, — ეწერა წერილში, გათენებისას მოდის ცოტახნით, დანარჩენი კი ისეა, როგორც წერილში და კიდევ ჩვენი თვალით ნანახიც დაემატა: მოფამფალებული კარ-ფანჯრები, უხარისხო და ცუდად დაგებული პარკეტი, წვიმისაგან ჩამორეცხილი ჭერის კუთხეები, რადგან თურმე სანიაღვრე მილი მეცხრე სართულზე კედლის შიგნით გადის, სამგანაა გახეთქილი და წვიმას რა დააკავებს... ნეტავ რომელმა ბინათმშენებლებმა დაიდეს ამ სახლის მობინადრეების ცოდვა?

— აი, კედლები, თქვენ თვითონ შეხედეთ, ნახეთ, ნახეთ! მე ამას რა უნდა მოვუხერხო... — ნერვიულად გვიჩვენებდა იზა დახეული შპალერით ძლივს დაფარულ ბათქაშჩამონგრეულსა და დაბზარულ კედლებს.

უკვე შვიდი წელია, რაც ამ ბინაშია იზა აგიაშვილი. უწინ ცხოვრობდა კიბალჩიჩის აღმართზე (სახლი №9). ეს ადგილი ძველი თბილისის ახლადაღდგენილ უბნებს შეემატა. იზას და მის მეზობლებს რა თქმა უნდა ძველ სახლში ცხოვრება ერჩივნათ, მაგრამ უთხრეს, რომ აქ მუზეუმი გაიხსნებოდა(!) და სხვები კი შეასახლეს... ჰო, შვიდი წელია ცხოვრობს ახალ ბინაში ეს ქალი, და ვერ მოახერხა ამ ხნის მანძილზე მისი ცოტაოდენი შეკეთება მაინც? — ვერ მოახერხა, რადგან მუშაობს სამხატვრო აკადემიაში ბიბლიოთეკარად და მისი მცირე ხელფასი რომელ ერთს გასწვდებოდა!

არადა, რამდენია იზა აგიაშვილისნაირი, რამდენს უჭირს და ჩვენი „კარგადმოწესრიგებული“ ბინების გადამკიდე როგორ ელის დახმარებას... მაინც ვისგან?!

მე-12 სახლმმართველობაში, რომელსაც ი. აგიაშვილის ბინა ეკუთვნის, მთავარი ინჟინერი ანზორ მაჟარაშვილი დაგვხვდა.

— საერთოდ ჩვენზე ბევრი რამ არაა დამოკიდებული, გვითხრა ა. მაჟარაშვილმა, სარემონტო-სამშენებლო უბანი საბინაო საექსპლოატაციო ტრესტს ეკუთვნის. ჩვენ სათანადო აქტს ვუგზავნით საბინაო ტრესტს, შემდეგ ის გადასცემს სარემონტო უბანს, ატყდება ქაღალდების კორიანტელი, ამასობაში გადის დრო. ჯერ კიდევ შარშან გავაგზავნეთ მოთხოვნა სანიაღვრე მილების გამოცვლის შესახებ. ტრესტმა ამის შესახებ შეადგინა სატიტულო სია. შედეგი? — არ ჩანს. დამატებითი მოთხოვნა გაიგზავნა აგიაშვილის განცხადების საფუძველზე, გვპირდებიან, რომ ეს საქმე უახლოეს პერიოდში მოგვარდება... ისე კი ჩვენს ხელთ არ არის ძველის ახლით შეცვლა. შეკეთება — კი ბატონო, მაგრამ ჩვენი ერთი სანტექნიკოსი და ერთი ელექტრომონტიორი ამდენ საქმეს გასწვდებიან? აი, ჩვენ რომ გვეკუთვნოდეს სარემონტო უბანი, უფრო იოლად, ყოველგვარი მიწერ-მოწერის გარეშე მოვახერხებდით მობინადრეთა სამართლიანი მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ახეა, სარემონტო უბანი საბინაო-საექსპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოატაციო ტრესტს ეკუთვნის, დასუფთავების ტრესტი კეთილმოწყობის სამმართველოს ექვემდებარება, ამიტომაც სახლმმართველობას არ შეუძლია დამოუკიდებლად მოაგვაროს თავისი პრობლემები, თუნდაც საცხოვრებელი გარემოს დასუფთავება-მოწესრიგება, რომ ჰქონდეს საკუთრად ერთიორი ნაგვის მანქანა მაინც...

გლდანის მასივის მე-3 მიკრორაიონი სისუფთავის მხრივ მართლაც ვერ დაიკვეხნის. ი. აგიაშვილს ტყუილი არ უთქვამს, ფანჯრებს შიშით ვერ ვაღებთო. თითქმის ყველა კორპუსის წინ, სანაგვე ბუნკერთან ნაგვის გროვები ყრია, რის გამოც აუტანელი სუნია, მრავლდებიან მღრღნელები, ბუზები, დაძრწიან უპატრონო კატები და ძაღლები.

ჩვენზე ბევრი რამ არაა დამოკიდებულიო, რომ გვითხრეს მე-12 სახლმმართველობაში, ბუნებრივია ვიფიქრეთ — მაინც ვისზეა ბევრი რამ დამოკიდებული? და საერთოდ, ვის ევალება საბინაო ნაგებობათა მოვლა-პატრონობა, ეზოების კეთილმოწყობა, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და კიდევ სხვა მრავალი წვრილმანი საქმე, რომელიც წლების განმავლობაში მოუგვარებელია? ყველაფერი ეს უშუალოდ ეხებათ საბინაო-საექსპლოატაციო კომისიებს, ტრესტებს, მათთან შექმნილ საბინაო-საკოორდინაციო კომისიებს, სახალხო კონტროლის ჯგუფებს, მიკროსაბჭოებს... და მოქალაქეებს.

თუ სანიტარული დასუფთავების სპეცავტომეურნეობები პირნათლად შეასრულებენ საბინაო-საექსპლოატაციო უბნებთან დადებულ ხელშეკრულებებს სანაგვე ბუნკერების დროულად დაცლის თაობაზე, თუ სარემონტო-სამშენებლო უბნები და კანტორები მეტ ყურადღებას დაუთმობენ საცხოვრებელ სახლებში შეუსრულებელი სამუშაოს ხარისხს, თუ „წყალკანალტრესტისა" და თბომეურნეობის სამსახურები ზუსტად დაიცავენ ცივი და ცხელი წყლის მიწოდების გრაფიკებს, მაშინ...

ხედავთ, რამდენი პატრონი, რამდენი გულშემატკივარი და ამავე დროს რამდენი „თუ"? იზა აგიაშვილს და მისი ბედის მოზიარეებს კი ალბათ დიდხანს მოუწევთ ლოდინი, რომ ნორმალურ ბინებში იცხოვრონ, რომ მათ სახლებს მოწესრიგებული შესასვლელები ჰქონდეს და ეზოებიც ნორმალურად იყოს დასუფთავებული.

თავი და თავი დამნაშავე კი თითქოს დაგვავიწყდა, ძვირფასო მკითხველო — რატომ, უნდა შენდებოდეს ასეთი „ვაი-სახლები?".

ოლია რევია

რედაქციისაგან:

ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა, თუ ყოველ ახალ აშენებულ სახლს მიემაგრებოდა მისი მშენებელი ორგანიზაციის, ინჟინრისა და ბრიგადის წევრთა ვინაობის მაუწყებელი პატარა დაფა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდოეთის დამოუკიდებლობის 40 წლისთავი

# თანამედროვე

თუ არა ქუდაკაცმა, მაშ ვინ უნდა იცოდეს დაწვრილებით თავისი თანამედროვე ქალების პრობლემები, მათი ჭირი და ლხინი. მარგარეტ ალვას ინდოეთის მთავრობაში ახალგაზრდობისა და სპორტის, ქალების და ბავშვების საქმეთა მინისტრის პოსტი უკავია და ამიტომ გული შესტკივა თავისი მილიონობით თანამემამულე ქალის ბედ-იღბლისათვის.

ამ მაღალ პოსტზე დაწინაურება მარგარეტ ალვას უჩვეულო რამედ არ მიაჩნია — ინდოეთის მთავრობაში ახლა რამდენიმე მინისტრი ქალია. სოციალურ-ეკონომიკურმა პროგრესმა, რომელსაც რესპუბლიკამ მოკლე ისტორიულ პერიოდში მიაღწია, ქალებს საშუალება მისცა მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მარგარეტ ალვას სამუშაო დღე დილაადრიან იწყება და სწორედ ამ დროს ვნახე იგი პირველად დელის საფდარჯანგის აეროდრომის მწვანე მინდორზე. აქედან ლაჟვარდოვან ცაში ნარნარად მილივლივებდა საჰაერო ბურთი, რომელზეც წარწერილი იყო მოწოდება ინდოელი ხალხისადმი — გააძლიერონ ბრძოლა ქვეყნად მშვიდობისათვის, ინდოეთის ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის. რესპუბლიკაში ამ ცერემონიით დაიწყო საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ერთთვიური, რომელიც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებით ეწყობა. ერთთვიურს აქტიურად დაუჭირა მხარი ინდოეთის მთავრობამ. მათ შორის, ვინც საჰაერო ბურთის გაშვებაზე მოვიდა, იყო მარგარეტ ალვაც. ძალზე ძნელი აღმოჩნდა მასთან მისვლა, რადგან ჟურნალისტები ეხვივნენ.

მახსოვს, რომელიღაც დასავლელი ჟურნალისტის შეკითხვის გამო უეცრად დისკუსია გაჩაღდა იმის თაობაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია ინდოეთი ამდენ ყურადღებას უთმობდეს მშვიდობისათვის ბრძოლას და სხვა საერთაშორისო პრობლემებს, როცა თვით რესპუბლიკის საშინაო მდგომარეობა მოთუხთუხე ქვაბს მოგვაგონებს — პენჯაბის შტატში არ წყდება სეპარატისტული გამოხდომები, ჩრდილო-აღმოსავლეთში თავი წამოყვეს ანტიეროვნულმა ელემენტებმა.

„მაშ, როგორ, ბატონო მინისტრო, რატომ მოიცალა ინდოეთმა სამშვიდობო ინიციატივებისათვის, რატომ იბრძვის შორეულ ნევადაში ბირთვულ აფეთქებათა შეწყვეტისათვის, როცა შინ თავსაყრელად გაქვთ პრობლემები“? — თავი მოაბეზრა ჟურნალისტმა. ამას ბევრი სხვა ამგვარი კითხვა მოჰყვა. ყველა ელოდა, თუ რას იტყოდა მინისტრი. ჰოდა, მ. ალვამაც უპასუხა: „თუ მსოფლიო ომი დაიწყო, ოკეანისგაღმელებს კი სწორედ აქეთკენ მიჰყავთ საქმე, საკუთარი პრობლემებისათვის ველარც მოვიცლით, საერთოდ პლანეტაზე სიცოცხლეც მოისპობა, რადგან ომი მას უდაბნოდ აქცევს. ვისაც ეს არ ესმის, იგი ვერ ხედავს რეალობებს იმ ჩვენი დროისა, რომელიც ამჟამად მშვიდობისათვის ბრძოლას მოითხოვს. უამისოდ კი ვერცერთ დანარჩენ პრობლემას ვერ გადავწყვეტთ...“

შემდგომში ხშირად შევხვედრივარ მ. ალვას ხალხმრავალ მიტინგებზე და დიდ საერთაშორისო ფორუმებზე, მაგრამ მასთან საუბრის შემთხვევა არ მომცემია. ერთხელაც ინდოეთში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის დელეგაცია, რომელთან ერთადაც მ. ალვასთან შეხვედრაზე წავედი. მაშინ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ორი ქვეყნის ახალგაზრდობას მონაწილეობა მიეღო ფესტივალებში: ინდოეთისას — საბჭოთა კავშირში და საბჭოეთისას — ინდოეთში. მაშინ მშვენივრად თქვა მინისტრმა, რომ საბჭოთა და ინდოელ ახალგაზრდობას შორის სრული ურთიერთგაგება დამყარდა. ეს კი ნიშნავს, რომ მომავალი ფესტივალები ნამდვილ დღესასწაულებად გადაიქცევა.

შემთხვევით ვისარგებლე და მ. ალვას ვკითხე: როგორ უხამებთ-მეთქი მინისტრის პოსტზე მუშაობას და ამავე დროს ახალგაზრდობის საქმეთა განმგებლობას, სპორტის კურირებას და ქალთა ინტერესების დაცვას?

— ამას ისიც დასძინეთ, რომ ცოლი და ოთხი შვილის დედა ვარ, — ღიმილით მიპასუხა მან. ისე კი, სერიოზულად რომ ვთქვათ, ძალზე ბევრი საქმე მაქვს. ჩემთვის დრო აღარ მრჩება. წინათ თვითონ დავდიოდი საყიდლებზე, ბავშვებსაც ვუვლიდი, ახლა კი იშვიათად თუ შევიყრებით ხოლმე მთელი ოჯახი. როცა დელიდან ცოტა ხნით გავდივარ, ვცდილობ ბავშვებიც თან წავიყვანო. ჩემს შვიდი წლის ბიჭუნას ძალიან უყვარს

სილამაზის სალონი სილამაზის სალონი სილამაზის სალონი

# კარგად რომ გამოიყურებოდეთ

აუცილებელია შეეცადოთ შეინარჩუნოთ მშვიდი ხასიათი, არ გამოხვიდეთ წონასწორობიდან, აუღელვებლად შეხვდით სხვადასხვა უსიამოვნებებს. ამას კი ადვილად მიაღწევთ, თუ სამართლიანად განსჯით ყველაფერს და ნორმალურ ურთიერთობას დაამყარებთ ადამიანებთან.

კარგი გარეგნობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნორმალურ ძილს. უნდა დაწვეთ და ადგეთ ადრე. რაც შეიძლება ხანგრძლივად იყავით სუფთა ჰაერზე, ხშირად გაანიავეთ ბინა, განსაკუთრებით ძილის წინ. საწოლ ოთახში ტემპერატურა თოთხმეტ გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს. ნუ დაიძინებთ ზედმეტად რბილ ბალიშსა და ლეიბზე. ყოველდღიურად, ჭამამდე შეასრულეთ სპორტული ვარჯიში, ისე, რომ არ გადაიღალოთ. მკაცრად დაიცავით სხეულის სისუფთავე, ჩაიცვით ყოველთვის ამინდის მიხედვით — ფეხი უფრო თბილად გქონდეთ, ვიდრე თავი. დაიბანეთ ხელ-პირი დილასაღამოს, ჭამეთ გარკვეულ საათებში, თანაც ისე, რომ არ გადატვირთოთ კუჭი; შეწყვიტეთ ჭამა მაშინ, როცა ცოტა კიდევ გშიათ. საჭმლის რაოდენობა უნდა შეეფარდებოდეს თქვენს მოძრაობას. რამდენადაც ნაკლებს მოძრაობთ, იმდენად ნაკლები უნდა ჭამოთ.

**როცა ჭორფლი დაგაჩნდებათ**

არ გაიწმინდოთ სახე ტუალეტის წყლით ან სპირტნარევი ლოსიონით. თუ მზისგან კანი გაგიღიზიანდათ და წითელი ლაქები გაგიჩნდათ, წაისვით მაწონი ან არაჟანი. ამ დროს კანს უხდება, აგრეთვე, გვირილას ან ჩაის ნაყენით გაწმენდა.

როცა კანის მგრძნობელობა მომატებული გაქვთ, სახლიდან გამოსვლის წინ წაისვით მზისგან დამცავი კრემები: „ლუჩი“, „შიტი“, ანდა იხმარეთ პუდრები: „იუჟნაია“, „კურორტნაია“, „რაშელი“.

თუ ჭორფლი მაინც ვერ მოიშორეთ, გულს ნუ გაიტეხთ. დღეში რამდენჯერმე გაიწმინდეთ სახის კანი მაწვნით, ლიმონის წვენით, ან დაიდეთ ნიღბები (კიტრის, მარწყვის).

შეგიძლიათ იხმაროთ სპეციალური მათეთრებელი კრემები: „მელანი“, „ახრომინი“, „ვესნა“. მაგრამ ამ კრემებს თუ ქუჩაში გამოსვლის წინ წაისვამთ, სახის კანი გაგიღიზიანდებათ, ჭორფლიც უფრო მოგემატებათ. მათეთრებელი კრემი თხლად უნდა წაისვათ წინასწარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინდოელი ქალი

სალამოობით ჩემს სამუშაო კაბინეტში ყოფნა და საქმეებშიც „მეხმარება“. მრავალი წელი — განაგრძო მინისტრმა, — ქალთა პრობლემებზე ვმუშაობდი ინდოეთის უმაღლეს სასამართლოში. დამოუკიდებლობის წლების მანძილზე სოციალური გარდაქმნების შედეგად ინდოელი ქალი სულ უფრო ფართოდ სარგებლობს საზოგადოებაში მამაკაცთა თანაბარი უფლებებით, ბევრი მათგანი ახლა იურისტი, ექიმი, ინჟინერი, არქიტექტორი თუ ჟურნალისტია. ძალზე ბევრი ინდოელი ქალი შრომობს საწარმოებში და თვალი უნდა ვადევნოთ, რომ მამაკაცის თანაბარ შრომას თანაბრად უნაზღაურებდნენ. თუმცა, ესეც კია, ინდოეთში ქალის პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს.

ამ დასკვნის სისწორეს ადასტურებს ინდოეთის დღევანდელი ცხოვრების რეალიები. ქალთა უმრავლესობას, უწინარესად სოფლად, ჯერ მთლიანად ვერ დაუღწევია თავი იმ მდგომარეობისათვის, რომელიც ცხოვრების მრავალსაუკუნოვანმა წესმა დაუტოვა მემკვიდრეობად. ავიღოთ, თუნდაც, შუა საუკუნეების ჩვეულება „დოური“, რომლის თანახმადაც ქალი მოვალეა ქმრის ოჯახში მზითვი მოიტანოს. თუ ეს მზითვი პატარა აღმოჩნდა, მისი ცხოვრება არათუ უბედური, არამედ ტრაგიკულიც კი შეიძლება აღმოჩნდეს.

ქალთა განათლების დონე ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია. არათუ უმაღლესი, არამედ საშუალო სასწავლებლებში სწავლაც კი კვლავინდებურად იმათ პრივილეგიად რჩება, ვინც საზოგადოების შეძლებულ ფენას ეკუთვნის. ქალის სოციალური სტატუსის ამაღლებაში უდიდეს სიძნელეებს ქმნის რელიგიური მრავალფეროვნება. ინდუსები, მაჰმადიანები, სხვა სარწმუნოებათა წარმომადგენლები საუკუნეთა მანძილზე დაშორებული იყვნენ ერთმანეთს.

მაგრამ მდგომარეობა სულ უფრო საგრძნობლად უმჯობესდება. გაზეთებში გამოქვეყნდა იმ გამოკითხვის მონაცემები, რომელიც დელის, ბომბეისა და რესპუბლიკის სხვა უდიდესი ქალაქების სკოლების კურსდამთავრებულებს შორის მოეწყო. ქალიშვილების უმრავლესობამ მხარი დაუჭირა დამოუკიდებელ შრომითს საქმიანობას და სულ რამდენიმე პროცენტმა განაცხადა, რომ სურს დიასახლისი იყოს. გამოკითხულთა მესამედმა გაილაშქრა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მამაკაცთა გაბატონებული მდგომარეობის წინააღმდეგ, ითხოვა მოძველებული საქორწინო ზნე-ჩვეულებების გაუქმება.

— ქალების ეს სურვილი სრულიად სამართლიანია, — თქვა მ. ალვამ, — ისინი სრულიად თავისუფალნი უნდა იყვნენ თავიანთი მომავალი ცხოვრების განსაზღვრის მხრივ როგორც საზოგადოებაში, ისე ოჯახში. ამ რამდენიმე წლის წინათ ქალთა ინტერესების დაცვის მიზნით ინდოეთში მიიღეს საგანგებო კანონმდებლობა, რომელიც, კერძოდ, ითვალისწინებს ზოგიერთი ისეთი ჩვეულების აკრძალვას, რომელიც ლახავს ქალთა უფლებებს. მთავრობა ყოველნაირად ცდილობს რომ ამ კანონმდებლობას განუხრელად ასრულებდნენ ქვეყნის ყველა შტატისა და მოკავშირე ტერიტორიის ხელისუფალნი. დროა ბოლო მოეღოს ისეთ ჩვეულებებსაც, როგორიცაა „ბავშვთა ქორწინებანი“ — როცა მშობლები თავიანთ შვილებს სიყრმიდანვე აქორწინებენ.

დღევანდელ ინდოეთში ძველი გზას უთმობს ახალს. სწრაფად იზრდება იმ ქალთა რიცხვი, რომლებმაც სამუდამოდ თქვეს უარი პატრიარქალურ შეხედულებებზე და დრომოჭმულ ტრადიციებზე. ამას დიდად უწყობს ხელს მთავრობის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია დედობის დაცვა, უწიგნურობის აღმოფხვრა, ქალთა ინტერესების ჩამორჩენილობის აღკვეთა ყველგან და ყველაფერში. სულ უფრო მეტი ინდოელი ქალი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ძველებურად ცხოვრება აღარ შეიძლება.

— დარწმუნებული ვარ, ამბობს მ. ალვა, — რომ ინდოეთის მთავრობის ღონისძიებებისა და მთელი სოციალური განვითარების შედეგად მალე ვიამაყებთ იმით, რომ ქალმა ინდოეთში მამაკაცთან სრულ თანასწორობას მიაღწია. მალე დადგება დრო, როცა აღარ გაუკვირდებათ, რომ ქალი სამინისტროს ან უნივერსიტეტს ხელმძღვანელობს, საჰაერო ლაინერის მეთაური ან... კოსმონავტია. დღევანდელი ინდოელი ქალისთვის დამახასიათებელი ის არის, რომ რესპუბლიკასთან ერთად ადგას გზას, რომელსაც პროგრესისაკენ მივყავართ, — დასძინა მ. ალვამ.

ლ. კოტოვი

## სილამაზის სალონი სილამაზის სალონი სილამაზის სალონი

დაბანილ ან გაწმენდილ სახეზე და ორი საათის შემდეგ მოიშოროთ დასველებული ნაჭრით.

მათეთრებელი საშუალების დამზადება თქვენაც შეგიძლიათ:

ერთ სუფრის კოვზ ლიმონის წვენს დაუმატეთ ექვსპროცენტიანი ძმარი და ორი ჩაის კოვზი ანადუღარი წყალი. თუ მშრალი კანი გაქვთ, ჩაუმატეთ ორი წვეთი გლიცერინი.

კარგ ეფექტს იძლევა, აგრეთვე, ოხრახუშის ნაყენი. წვრილად დაჭერით ოხრახუში, დაასხით მდუღარე წყალი და გააჩერეთ. გაგრილებული ნახარშით გაიწმინდეთ სახე დღეში ერთი-ორჯერ.

სახის ამგვარი მოვლით შედეგს მაშინვე ვერ მიიღებთ. (იქონიეთ მოთმინება ორ თვემდე.

ჟურნალ „რაბოტნიციდან“.

### თმის გასამაგრებელი სითხე

1. ერთ სუფრის კოვზ არყის ხის ფოთლებს დაასხით 300 გრამი მდუღარე წყალი და გააჩერეთ სამი საათის განმავლობაში, შემდეგ გაწურეთ და ნაყენი ყოველდღიურად შეიზილეთ თმის ძირებში.

2. ორ თავ წვრილად დაჭრილ ხახვს დაასხით 300 გრამი სპირტისა და წყლის (თანაბარი) ნარევი. გააჩერეთ 2 საათს, შემდეგ გაწურეთ, შეურიეთ მცირეოდენი სუნამო და ამ სითხით შეიზილეთ ხოლმე დაბანილი თმა.

3. 300 გრამ წვრილად დაჭრილ ხახვს დაასხით 500-600 გრამი თეთრი ღვინო, გააჩერეთ 7 დღეს, შემდეგ დაუმატეთ 100 გრამი თაფლი და ასე დატოვეთ კიდევ 3 დღეს, შემდეგ გაწურეთ და მიიღეთ თითო სუფრის კოვზი სამჯერ დღეში.

### თმის ზრდის სტიმულირებისათვის

2 სუფრის კოვზ დათვის კენკრას („ტოლოკნიანკა“) დაასხით 300 გრ წყალი და ხარშეთ, ვიდრე წყალი სანახევროდ აორთქლდებოდეს, შემდეგ ნახარში გაწურეთ და სითხე ყოველდღე შეიზილეთ თმის ძირებში. თუ ამ სითხით თმას დახვევის წინ დაისველებთ, მეტი ხნით შეინარჩუნებთ ვარცხნილობას.

25 გრ ძირტკბილას („ალთეა“) და 50 გრ შხამას („ჩემერიცა“) ძირები მოხარშეთ 250 გრ ღვინის ძმარში. ცალკე 150 გრამ წყალში მოხარშეთ 25 გრ ძირტკბილა, შემდეგ ორივე ნახარში გაწურეთ და მათი ნარევით დილა-საღამოს შეიზილეთ თმის ძირები.

ჟურნალ „ბოლგარსკაია ჟენშჩინადან“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია

## ალუბლის შეჭამანდი

ზაფხულის ცხელ დღეებში ზოგჯერ ისეთი გრძნობა გეუფლებათ თითქოს ყველანაირი კერძი მოგბეზრდათ და გსურთ რაღაც უცხო, უცხიმო და მსუბუქი.

ასეთ შემთხვევაში ძალიან გესიამოვნებათ ალუბლის შეჭამანდი. მისი მომზადება მეტად მარტივია.

აიღეთ კილოიანი ქილა, სავსე დაჩურჩული ალუბლით. ალუბალი მოათავსეთ მომინანქრებულ ქვაბში, კარგად დაჭყლიტეთ, შემდეგ დაასხით ორი ლიტრი ცივი წყალი, დადგით საშუალო სიმხურვალის მქონე ცეცხლზე და ადუღეთ ნახევარი საათის განმავლობაში. წამოდუღებიდან 10-15 წუთის შემდეგ ქვაბში ჩაამატეთ წვრილად დაჭრილი 1 კონა კამა (10-12 ღერი), ამდენივე ქინძი, 3-4 ღერი პიტნა და 3-4 კბილი დანაყილი ნიორი, ნახევარი საათის შემდეგ კი ამოუკიდეთ საფანელი (4-5 სუფრის კოვზი პურის ფქვილი გაძარით ნახევარ ჩაის ჭიქა ცივ წყალში) და კვლავ ადუღეთ 15-20 წუთის განმავლობაში.

ალუბლის შეჭამანდის მომზადება შეიძლება წლის ყოველ დროს, ალუბლის კერკისგანაც. ორ ლიტრ წყალში იხარშება 1 ჩაის ჭიქა ალუბლის კერკი, შემდეგ მზადდება ისეთივე წესით, როგორც ზემოთაა აღნიშნული.

**მარინე გენებაშვილი**

ალუბლის შეჭამადი სასიამოვნო და გამოსადეგი იქნება დიეტაზე მყოფთათვისაც, მაგრამ ზოგიერთებს, ვისაც პიკანტური კერძები უფრო უყვართ, შეიძლება ლუყურტი ეჩვენოთ; აი, მათ „პიცას“ შევთავაზებთ.

## „პიცა“

„პიცა“ მეტად ნოყიერი, თან გემრიელი კერძია, მაგრამ მისი მომზადება მოსამსახურე დიასახლისისათვის ჩვეულებრივ დღეს ცოტა რთულია, რადგან იგი სახელდახელოდ მოსამზადებელ კერძებს არ მიეკუთვნება. „პიცა“ შეიძლება მოამზადოთ შაბათ-კვირას, ან საზეიმო სუფრისათვის, როცა დროც მეტი გექნებათ და წინასწარ შეძენილი საჭირო პროდუქტებიც.

თავდაპირველად, ვიდრე „პიცას“ მოსამზადებელ ყველა პროდუქტს დაჭრიდეთ და ცალ-ცალკე ჭურჭელზე დააწყობდეთ, შეინახეთ მაცივარში შემდეგნაირად მოზელილი ცომი: გათქვიფეთ თასზე 2 კვერცხის გული, ნახევარ ჩაის კოვზ სოდასთან ერთად, დაუმატეთ 100 გრამი შემდღვალ-შერბილებული კარაქი, 500 გრამი მაწონი, აურიეთ კარგად, დააყარეთ 4 ჩაის ჭიქა პურის ფქვილი, მოზილეთ და (ცომი უნდა იყოს საშუალო სირბილის) შემდეგ შეუდექით პროდუქტების დამუშავებას.

500 გრამი (მდუღარე გადავლებული) სოკოს მარინადი ან ნედლი, მოწალული სოკო მოხრაკეთ 500 გრამ წვრილად დაჭრილ ხახვთან ერთად (ცხიმი რომელიც გნებავთ და რამდენსაც მოითხვს), შეაზავეთ შავი პილპილით, 3-4 ღერი წვრილად დაჭრილი კამით და დადგით ცალკე. შემდეგ დაჭერით სიფრიფანა ნაჭრებად 300 გრამი უმაღლესი ხარისხის შებოლილი ძეხვი ან ლორი და ასევე ცალკე თეფშზე მოათავსეთ. შემდეგ დაჩილეთ თხელ ფურცლებად 500 გრამი ახალი, უმარილო სულგუნი, წვრილადვე დაჭერით 1 კონა ახალი ხახვის მხოლოდ ძირები, და 1-2 ცალი კანგაცლილი პამიდორი.

ამის შემდეგ აიღეთ ტაფა (საჭიროა ორი ერთნაირი ზომის ტაფა), წაუსვით ცოტა ცხიმი, მოაყარეთ მცირეოდენი ფქვილი და ზედ გააბრტყელეთ ცომი ისე რომ ცოტათი (1 სანტიმეტრით) ტაფის კიდეებს გადმოსცილდეს. ცომზე პირველად მოფინეთ სულგუნი, შემდეგ სოკო, მესამე ფენა იქნება ლორი ან ძეხვი, შემდეგ პამიდორი, ხახვი და ბოლოს დაახალეთ სამი ცალი კვერცხი. აუთქვეფავად (ადგილის თანაბარი განაწილებით), დაახურეთ თავზე მეორე ტაფა და შედგით გაზქურის ღუმელში (საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე). 20-25 წუთის შემდეგ „პიცა“ მზად იქნება. ფრთხილად გადმოიღეთ მრგვალ ლანგარზე და თბილ-თბილი მიიტანეთ სუფრაზე (იჭრება პატარა ნაჭრებად).

**ც. მაღრაძე**

---

გარეკანის პირველ გვერდზე — ნანა ნაყოფია, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, რომელიც წელს პირველად შევა ზუგდიდის სკოლა-ინტერნატში; მეოთხეზე — ზღვის სანაპირო. დ. იაკობიშვილის ფოტოები.

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. ბურჯენიძე, ლ. კაკაბაძე (პ. მგ. მდივანი) ნ. გაფრინდაშვილი, ზ. კვაჟაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. შვანია, პ ულენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 93-25-64 ლიტერატურისა და ხელოვნების 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. ტექნიკური რედაქტორის 93-98-58. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 4. 08. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 09. 87 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_3$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 160.000 შეკვ. 1909. უე 11091.





ვ. და ზ. გენგიურების ფოტოეტიუდები

ფასი 30 კაპ.

ინდექსი 761

6136/169
ეროვნული ბიბლიოთეკა

